ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 29 ოქტომბერი, 2021 №204 (8733) ფასი: 60 თეთრი

ირაკლი ღარიბაშვილი: „დაახლოებით 150.000 ადამიანი გამოვიდა აქციაზე. მთელმა მსოფლიომ ნახა ჩვენი ხალხის ძალა“

გვ.2

„მიშა რომ რამეს ციცქნიდეს, „იმედზე“ ამ კადრებს აუცილებლად ვნახავდით“

გვ.2

გია ხუხაშვილი: „დენთის სუნი ტრიალებს... სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეიძლება რალაც პროცესების კატალიზატორი გახდეს“

„კობახიძე ამბობს, სააკაშვილი არ შიმშილობსო. ეს უნდა დაამტკიცოს“

ვახტანგ ძაბირაძე: „ნებისმიერ ხელისუფლებას შეუძლია ხალხის გამოყვანა და გამოუყვანიათ კიდეც სააკაშვილსაც, ასლან აბაშიძესაც, მაგრამ რა მერე?!“

გვ.3

„კალაძე „ქართული ოცნების“ კარზე დისტანციას იკავებს“

გია ნოდია: „მეორე ტურის წინ ასე ანერვიულებული ხელისუფლება არ მახსოვს“

გვ.3



გვ.4

„ხალხი გვეუბნება, ბოლოჯერ გიცხადებთ ნდობასო“

გვ.4

„პანდემიის დროს ფართომასშტაბიანი მიტინგი ხელისუფლებას ძალიან დასჭირდა“

სოსო შატბერაშვილი: „უკრაინიდან ჩამოსული პირების მიმართ ხელისუფლება სწორად მოიქცა“

ირაკლი ღარიბაშვილი: „დაახლოებით ერთი წლის წინ გავაქღერე ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი საწარმოს იდეა“

გვ.5

შს მინისტრი შვედეთის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს შეხვდა

გვ.5

ISSN 1987-9385

2 ნიკა მელია: „რაც მეტს ილაპარაკებს ღარიბაშვილი, მით მეტად გაგვიადვილდება გამარჯვება“

5 პროკურატურა: „ისრაელში დაკავებულია დანაშაულებრივი ჯგუფის რამდენიმე ხელმძღვანელი პირი“

5 პატიმარი გია ყაზარიშვილი: „ციხეში ცოცხით არავის გავუუპატურებივარ. ეს სცენა ბედუკაძემ დადგა“

6 სომხეთი თურქეთთან ურთიერთობების დასაწყებად მზად არის

„მიშა რომ რამეს ციცქნიდეს, „იმედზე“ ამ კადრებს აუცილებლად ვნახავდით“

გია ხუხაშვილი: „დენთის სუნი ტრიალებს... სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეიძლება რაღაც პროცესების კატალიზატორი გახდეს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი გია ხუხაშვილი პასუხობს.

– ბატონო გია, არჩევნებამდე ორიოდე დღე რჩება. როგორ აფასებთ არსებულ პოლიტიკურ ფონს? გუშინ რუსთაველზე „ქართული ოცნების“ დიდი აქცია ვიხილეთ. როდის იყო, ხელისუფლება აქციებს აწყობდა? ნაციონალურ მოძრაობასთან გაჯიბრებას უფრო ჰგავდა ეს ყველაფერი. ასეა?

– სამწუხარო რეალობაა. ხელისუფლება კი ამბობს, რომ ეს იყო წინასაარჩევნო შეკრება, მაგრამ მათი რიტორიკა და თვითონ მობილიზების ხარისხი სულ სხვა რამეზე მეტყველებდა. ფაქტობრივად გამოიყენა ყველა რესურსი იმისათვის, რომ ადამიანები საკუთარი ნებით კი არ მისულიყვნენ აქციაზე, არამედ მთელი ადმინისტრაციული რესურსის ჩათვლით, მატერიალური დაინტერესებით და ასე შემდეგ, იმისათვის რომ დაედო ალტერნატიული სურათი. დღესაც კი, 9 წლის შემდეგ, ისინი ეჯიბრებიან ნაციონალურ მოძრაობას და საზოგადოებას იმას კი არ უმტკიცებენ, რომ თვითონ კარგად მართავენ ქვეყანას, უმტკიცებენ იმას, რომ ისინი უკეთესები და უფრო მაგრები არიან. სინამდვილეში კი გუშინდელი აქცია ძალიან ჰგავდა 2012 წლის სექტემბერში ნაციონალური მოძრაობის მიერ ჩატარებულ აქციას, წინასაარჩევნოდ სტადიონზე რომ შეკრიბა მიშამ ხალხი. ამოცანაც და მიზანიც ზუსტად ეს იყო, რიტორიკაც – აბსოლუტურად მსგავსი.

– კრიტიკას ვერ უძლებს ეს ყველაფერი, მით უმეტეს ამ პანდემიის პერიოდში ამდენი ხალხის თავშეყრაო.

– ძალიან ჰგვანან ერთმანეთს „ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა. ფაქტობრივად „ქართული ოცნება“ არის ნაციონალური მოძრაობის კლონი. თავისი ვერაფერი ვერ შექმნა, ყველაფერი იმათგან ისწავლა. იგივე ხალხი დატოვა, მურუსიძით დაწყებული, ყველანი ჩატოვა სისტემაში, არაფერი არ შეცვალა და ერთადერთი ინტერესი აქვს, ხელისუფლებაში ყოფნისა და ძალაუფლების. მეტი ინტერესი მას არ გააჩნია, არც ქვეყნის განვითარების, არც პოზიტიური დღის წესრიგის. გაიძახის, მიშა ჩემზე უარესიაო. კი ბატონო, ამაში შეიძლება დაგეთანხმო, რომ მიშა შენზე უარესია, ეს შეიძლება მითხრა ერთხელ. 10 წელი რომ ამას მეუბნები, მიშა ცუდია და ამიტომ მე უნდა ვიყო...

– მე ცუდი ვარ, მაგრამ მიშა ჩემზე უარესიაო, ანუ არჩევანი ისევ ცუდსა და უარესს შორის უნდა გავაკეთოთ?

– დიახ, ცუდსა და უარესს შორის და, სამწუხაროდ, მიშაც ამაში ნაციონალურ მოძრაობას მაქსიმალურად ეხმარება და ხელს უწყობს.

– რას ელოდებით, რა შედეგი დაიდება მეორე ტურზე?

– მეორე ტურები უფრო სამობილიზაციოა. ვისაც მეტი რესურსი აღმოაჩნდება, მას ექნება უპირატესობა. მე ვფიქრობ, თუ აქტივობა უფრო დაბალი იქნა, ვიდრე პირველ ტურში იყო და ეს მოსალოდნელია, მაშინ ეს, რა თქმა უნდა, ხელისუფლებას უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევს, იმიტომ რომ, როგორც წესი, ხელისუფლებას თავისი ამომრჩეველი მიჰყავს არჩევნებზე, კოორდინატორებით, სიებით, მუქარითა და შანტაჟით ან რაღაც სხვა დაინტერესებით. თუ სხვა ოპოზიციური პარტიის ამომრჩეველი არ წავიდა არჩევნებზე, ამ შემთხვევაში ხელისუფლებას აქვს უპირატესობა და, სავარაუდოდ, მოიგებს. თუ იგივე აქტივობა შენარჩუნდა, რაც პირველ ტურში იყო, ამ შემთხვევაში ოპოზიციურ კანდიდატებს აქვთ გარკვეული შანსი.

– არის მოლოდინი, რომ ზუგდიდი ოპოზიციამ მოიგოს?

– მე რეგიონების მიხედვით არ ვლაპარაკობ. მე ვსაუბრობ ზოგად სურათზე. თუ გაიზარდა აქტივობა, სადაც გაიზრდება, იქ ოპოზიცია მოიგებს, იმიტომ, რომ აქტივობის გაზრდა მხოლოდ ოპოზიციონერი ელექტორატის ხარჯზეა შესაძლებელი.

– საინტერესოა, რას იზამს გახარიას ამომრჩეველი, ვისკენ წავა ეს ხმები?

– გახარიას ამომრჩეველი ალბათ დიდწილად სახლში დარჩება. რატომ? იმიტომ, რომ ოპოზიციამაც ბევრი არაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ეს ამომრჩეველი მიეზიდა. ამ ამომრჩევლისთვის მიშა სააკაშვილის თემა არ არის მთავარი თემა, სულ სხვა პრობლემებზე არიან ისინი ორიენტირებულნი. მათ დიდ ნაწილს შეიძლება უნდა კიდევაც, მიშა ციხეში რომ იჯდეს და ამას ეთანხმება. შესაბამისად, როდესაც მიშა სააკაშვილი საარჩევნო კამპანიის მთავარი თემაა, ეს არ უწყობს ხელს სხვა კანდიდატების ამომრჩევლის მოზიდვას იმისათვის, რომ გაზარდონ აქტივობა და ამის ხარჯზე შედეგი მიიღონ. მე ყველგან ვერ ვიტყვი, მაგრამ სამეგრელოში აქვს ხელისუფლებას სერიოზული პრობლემები და ალბათობა იმისა, რომ სამეგრელოში წააგებენ, არის საკმაოდ მაღალი. მთავარ ცენტრებში, თბილისში, ბათუმში, ქუთაისში – აქ სამობილიზაციო უპირატესობა ხელისუფლებას აქვს. არა ელექტორალური, არამედ სამობილიზაციო. ასე რომ, დაველოდოთ მოვლენებს. ლაიტმოტივად ყველაფერს მაინც გასდევს მიშა სააკაშვილის მდგომარეობა. მე ვვარაუდობ, რომ ხვალ ის გარკვეულწილად დამძიმდება. ჩვენ როგორც არ უნდა ვუყურებდეთ ამ საკითხს, ეს ახლა ჰუმანიტარული თემაა და ამაზე უნდა ვიფიქროთ, მაგრამ პოლიტიკური კონტექსტი აქ არის სრულიად აშკარა, ლაიტმოტივად გასდევს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არჩევნებს და ისეც მიდის საქმე, რომ საარჩევნოდ ფონი დაიძაბოს.

– მიხეილ სააკაშვილმაც რამდენად გამოიყენა თავის პატიმრობა იმისათვის, რომ სიტუაცია დაძაბოს და შეძლოს საკუთარი ამომრჩევლის მობილიზება?

– საერთო ჯამში, სააკაშვილის ჩამოსვლამ და ამ ყველაფერმა ზოგადად პოლიტიკური პროცესი დააზიანა და პირველ რიგში დააზიანა ოპოზიცია. ამ შემთხვევაში ვგულისხმობ არა ნაციონალურ მოძრაობას არამედ პარტიებს. რაც შეეხება ნაციონალურ მოძრაობას, მათი ელექტორატი ისედაც მობილიზებული იყო. სააკაშვილი ჩამოვიდოდა თუ არა, ეს საკმაოდ კარგად ორგანიზებული ელექტორალური სეგმენტია. მისი ჩამოსვლა ნაცმოძრაობის ამომრჩევლის მობილიზებისთვის, ვერ გეტყვით, რომ აუცილებელი იყო. შეიძლება, ოდნავ რაღაც დაამატა, მაგრამ არა – პრინციპულად. სამაგიეროდ, სისტემურად დააზიანა დანარჩენი ოპოზიცია. ჯამური ოპოზიციური შედეგი, შესაბამისად, კი არ გაუმჯობესდა, გაუარესდა ხელისუფლების სასარგებლოდ, ანუ იმის თქმა მინდა, რომ მიშა სააკაშვილის ჩამოსვლით ხელისუფლებამ უფრო ისარგებლა, ვიდრე ოპოზიციამ.

– მიშას სახით სულ „ბუას“ ხატავდნენ, მოდის, მოდისო და ახლა აქ ჰყავთ, თან – ციხე ში....

– დიახ, ძალის დემონსტრირება მოახდინეს, ჯერ ერთი, ციხეში ჰყავთ, კიდევ შექმნეს ილუზია, რომ დაამთავრებენ ნაციონალურ მოძრაობას, რაც სრული აბსურდია. ეს ყველას კარგად გვესმის. თუმცა ამ ყველაფრის ხარჯზე ხელისუფლებამ უფრო იხეირა, ვიდრე ოპოზიციამ. ნაციონალურ მოძრაობას ბევრი არაფერი დაუკარგავს, მაგრამ დაკარგეს სხვა პარტიებმა.

– ნაციონალური მოძრაობა ლიდერია ოპოზიციურ ფლანგზე. კოალიციები და გაერთიანება მის გარშემო ხდება. ეს რამდენად მოუტანს წარმატებას?

– არ ვიცი, მხოლოდ თბილისში ხდება ეს ყველაფერი და მე კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ სამობილიზაციო რესურსი ხელისუფლებას მეტი აქვს. ეს გაერთიანება არ არის საერთო ოპოზიციური გაერთიანება. წმინდა არითმეტიკულად, ვინც ამ გაერთიანებაში აღმოჩნდა, მათი ჯამური მაჩვენებელი ვერ ეწევა ხელისუფლების რესურსს. ამ გაერთიანებაში თეორიულად რომ აღმოჩენილიყვნენ გახარია, ანა დოლიძე და სხვები, კიდევ შეიძლებოდა, სხვა არითმეტიკაზე გველაპარაკა, მაგრამ ჯერჯერობით ასეთი მოცემულობაა, თუმცა გამორიცხული არაფერი არ არის, იმიტომ, რომ ბოლო კვლევებით ჩვენ გვყავს ამომრჩეველის 10-12%, რომელიც თავის არჩევანს არ გამოხატავს, მხედველობაში მყავს აქტიური ამომრჩეველი. ასე რომ, სიურპრიზებსაც ვერ გამოვრიცხავთ.

– საუბრისას ბრძანეთ, რომ, სავარაუდოდ, არჩევნების დღისთვის მიხეილ სააკაშვილი დამძიმდება. მან სამედიცინო ჩარევასა და მედიკამენტოზურ დახმარებაზეც უარი განაცხადა. ესეც გათვლილი ნაბიჯია წინასაარჩევნოდ დაძაბულობის შესაქმნელად?

– თავისთავად. დროს თუ მივყვებით, ასეა. მე იმას კი არ ვამბობ, რომ მიშა ავად გახდომის სიმულაციას დაიწყებს. არა. თითქმის ერთი თვე გავიდა მისი შიმშილობის დაწყებიდან და ის რომ რამეს „ციცქნიდეს“, „იმედზე“ ამ კადრებს ვნახავდით, რადგან ყველაფერს უღებენ და უსმენენ. ვინაიდან ასე არ არის, ე.ი. მიშა არის კრიტიკულთან ძალიან ახლოს. ამიტომ, სავარაუდოდ, ზუსტად არჩევნებს ემთხვევა მიშას ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება. ეს, რა თქმა უნდა, რისკებს ძალიან ზრდის. გარკვეულწილად, დენთის სუნი ტრიალებს. სამოქალაქო დაპირისპირების შანსები ამით ძალიან იზრდება. ვიღაცას მოსწონს თუ არ მოსწონს, ორივე მხარეს ხალხია და მიშას ჯანმრთელობის მდგომარეობა შეიძლება რაღაც პროცესების კატალიზატორი გახდეს, მით უმეტეს, როდესაც ეს არჩევნების დღეს ხდება. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს არ მოხდება, მაგრამ ამის შანსები საკმაოდ მაღალია.

ნიკა მელია: „რაც მეტს ილაპარაკებს ღარიბაშვილი, მით მეტად გაგვიადვილდება გამარჯვება“

– რაც უფრო მეტს ილაპარაკებს ბატონი ღარიბაშვილი, უფრო მეტად გაგვიადვილდება გამარჯვება 30 ოქტომბერს – არასოდეს ასე ახლოს არ ყოფილა ოპოზიცია გამარჯვებასთან თბილისში, მთავარია, ძალიან ბევრი მივიდეთ, რომ იმ გაყალბების მასშტაბებს დავუპირისპიროთ მაღალი გამოცხადება.

ამის შესახებ თბილისში ოპოზიციის ნაწილის მერობის კანდიდატმა ნიკა მელიამ ჟურნალისტებს განუცხადა.

ოპოზიციონერმა ლიდერმა ამომრჩეველს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურზე მისვლისკენ მოუწოდა.

მისი თქმით, ოპოზიცია დღეს გამარჯვებასთან ძალიან ახლოსაა.

– ჩვენ ხომ ვიცით, რასაც აკეთებს ხელისუფლება, სხვადასხვა მეთოდებს გამოიყენებს, ფულის შრიალია ყველგან. რაც უფრო ნაკლები დრო რჩება, მით უფრო მეტი და მეტი ფული შრიალებს, შრიალებს, შრიალებს და მაინც ვერაფერს ვერ ხდებიან ხელისუფლებაში. ის ფორა, რომელსაც იქმნიან – დაშინებით, ფულის მეშვეობით, მოსყიდვით, მუქარით, ადამიანების დაპატიმრებებით, ეს ფორა აღმოფხვრილია ოპოზიციის მიერ, იმდენად დიდი დაუოკებელი სურვილია საზოგადოებაში, რომ მოხდეს ცვლილებები.

ეს წარმატება სახეზე დადგება 30 ოქტომბერს, რაც არ უნდა ისაუბროს ბატონმა ღარიბაშვილმა. რაც უფრო მეტს ილაპარაკებს ბატონი ღარიბაშვილი, უფრო მეტად გაგვიადვილდება გამარჯვება 30 ოქტომბერს, ამ თითქოს უთანასწორო ბრძოლაში – ვგულისხმობ იმ უკანონო რესურსს, რომელსაც ისინი იყენებენ. მთავარი გვაქვს ჩვენ, მორალური უპირატესობა, სიმართლე, რაც არის ყველაზე ბასრი იარაღი საარჩევნო კამპანიაში, – განაცხადა ნიკა მელიამ.

რაც შეეხება 27 ოქტომბერს „ქართული ოცნების“ მიერ გამართულ საარჩევნო შეკრებას, მისი თქმით, აქციაზე ხალხი ძალით მიიყვანეს.

– არაფერი იმალება, პატარა ქალაქია თბილისი, ეს მოგონილი სპეკულაციები ხომ არ არის, რომ ძალით მიიყვანეს ადამიანები აქციაზე, ნაწილმა მათგანმა არც კი იცოდა, სად მიდიოდა. ეს ყველაფერიც უნდა დამთავრდეს, მრავალფეროვნებას შეუძლია, ერთ საათში აღმოფხვრას ეს პრობლემა, რომ ვერც ერთმა ხელისუფალმა ვერ აკადროს ვერასოდეს ვერც ერთ საჯარო მოხელეს, რომ „მერე რა, რომ მე არ მემხრობი, წამოდი ახლა ჩემთან ერთად აქციაზე“.

ამაზე რომ საუბარი გვიწევს, ჯერ კიდევ ეს არის პრობლემა, რომელიც ძალიან სწრაფად უნდა გადავჭრათ და 30 ოქტომბერს უნდა დავიწყოთ იმ ქალაქებში გამარჯვებით, სადაც ვაპირებთ გამარჯვებას.

არასოდეს ასე ახლოს არ ყოფილა ოპოზიცია გამარჯვებასთან თბილისში, მთავარია ძალიან ბევრი მივიდეთ, რომ იმ გაყალბების მასშტაბებს ჩვენ დავუპირისპიროთ მაღალი გამოცხადება და ასეთ შემთხვევაში არა უბრალოდ დავამარცხებთ ჩვენ სახელისუფლო კანდიდატს, არამედ დიდი სხვაობით და დამაჯერებლად დამარცხდება. 20 ოქტომბრის შემდეგ დიდ კონტრასტს ვხედავთ, ეს ის დღეა, როდესაც კოალიციური მთავრობა ჩამოვაყალიბეთ. თბილისი მზად არის ცვლილებებისთვის, – აღნიშნა ოპოზიციონერმა ლიდერმა.

ირაკლი ღარიბაშვილი: „დაახლოებით 150.000 ადამიანი გამოვიდა აქციაზე. მთელმა მსოფლიომ ნახა ჩვენი ხალხის ძალა“

– მთელმა მსოფლიომ ნახა ჩვენი ხალხის ძალა.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, დაახლოებით 150.000 ადამიანი გამოვიდა 27 ოქტომბრის აქციაზე.

– დაახლოებით 150.000 ადამიანი გამოვიდა. თქვენ რაც არ უნდა ტყუილები ილაპარაკოთ, მთელმა მსოფლიომ ნახა ჩვენი ხალხის ძალა. ასე რომ, მოგიწევთ ყველას, დაემორჩილოთ ჩვენი ხალხის გადაწყვეტილებას, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

გომელაური აშშ-ის საელჩოს ანტინარკოტიკული ბიუროს ახალ ხელმძღვანელს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობების საერთაშორისო ბიუროს ახალ ხელმძღვანელ სარა რუპერტსა და საქართველოში აშშ-ის საელჩოს იურიდიულ საკითხებში მრჩეველ ლანა მორტონ ოუენსის შეხვდა.

შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო.

მხარეებმა განიხილეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობების საერთაშორისო ბიუროს შორის არსებული თანამშრომლობა და მიღწეული შედეგები, ასევე, განსაზღვრეს სამომავლო გეგმები და პრიორიტეტული მიმართულებები.

შეხვედრის დასასრულს ვახტანგ გომელაურმა ბიუროს ხელმძღვანელს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერებისთვის მადლობა გადაუხადა და წარმატებები უსურვა.

აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიურო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან უკვე მრავალი წელია თანამშრომლობს კიბერდანაშაულის, ოჯახში ძალადობის, ტრეფიკინგის, ტაქტიკური მომზადების, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისა და სხვა მიმართულებებით.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეგერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„კობახიძე ამბობს, სააკაშვილი არ შიმშილობსო. ეს უნდა დაამტკიცოს“

ვახტანგ ძაბირაძე: „ნებისმიერ ხელისუფლებას შეუძლია ხალხის გამოყვანა და გამოუყვანიათ კიდეც სააკაშვილსაც, ასლან აბაშიძესაც, მაგრამ რა მერე?!“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.



– ბატონო ვახტანგ, ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ სააკაშვილის შიმშილობის იმიტირებული ქრონიკა 30 ოქტომბრამდე „პატარა შოუებით“ იქნება წარმოდგენილი. როგორც ჩანს, 30 ოქტომბრამდე არაფერს არ აპირებენ, მაგრამ არჩევნების შემდეგ შეიძლება, რაიმე გადაწყვეტილება მიიღონ?

– ხელისუფლება 30 ოქტომბრამდე არაფერს არ გააკეთებს, რისკზე არ წავა. არჩევნების შემდეგ როგორ განვითარდება პოლიტიკური პროცესები, ამაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული, მათ შორის სააკაშვილის საკითხიც.

როგორც ჩანს, ხელისუფლებას ჯერ გადაწყვეტილება მიღებული არ აქვს, თუმცა არც მოქმედების ბევრი ვერსია აქვს. უკეთეს შემთხვევაში, უკრაინაში მოხდება დეპორტაცია ან პატიმრობაში დატოვებენ.

– პრეზიდენტ ზურაბიშვილის მხრიდან, მიუხედავად მისი განცხადებისა, რომ არ შეიწყალებს, რაიმე ნაბიჯს ელოდებით?

– სალომე ზურაბიშვილმა სააკაშვილის შეწყალება დამოუკიდებლად რომ მიიღოს, ამას გამოვრიცხავ. თუ შეიწყალებს, ეს იქნება შეთანხმებული. მე რომ მკითხოთ, უნდა იყოს კიდეც, რადგან სააკაშვილს მთელი პოლიტიკური შლეიფი ახლავს.

რაც შეეხება კობახიძის განცხადებას იმიტირებულ შიმშილობაზე, მან უნდა დააკონკრეტოს, რას გულისხმობს. რატომ უწოდებს იმიტირებულ შიმშილობას?! საზოგადოებამ იცის, რომ სააკაშვილი შიმშილობს. თუ ასე არ არის, მაშინ უნდა გამოვიდეს და დაასაბუთოს.

– თუ ხელისუფლება დიდ ქალაქებს წააგებს, მაგალითად, ბათუმს, ქუთაისს, ზუგდიდს, ეს შეცვლის პოლიტიკურ პროცესს?

– ზუგდიდი, დიდი ალბათობით, ოპოზიციას აქვს მოგებული. ბათუმსა და ქუთაისში რა მოხდება, ვერ გეტყვით, მაგრამ, ხელისუფლება თუ წააგებს, ეს არის კატასტროფა. მაგალითად, წააგო ეს დიდი ქალაქები და იმწუთში რიგგარეშე არჩევნები ინიშნება, ასე არ არის. ერთმანეთს არ ებმის. ნახევარ მსოფლიოში ასეა, მაგრამ, ვინაიდან ნორმალური პოლიტიკური ვითარება არ გვაქვს, შეიძლება, სხვა პროცესები წავიდეს.

– რა პროცესები შეიძლება განვითარდეს?

– ოპოზიციამ ეს გამოიყენოს არა იმისთვის, რომ ადგილობრივ დონეზე დაიწყოს პრობლემების მოგვარება, მუნიციპალიტეტის გამართვა და დანარჩენ რაიონებს აჩვენოს, რომ ოპოზიციას მართლაც შეუძლია, უკეთესად მართოს, არამედ მეორე დღესვე დაიწყებს აქციებს. ამას შეიძლება მოჰყვეს ხელისუფლების მხრიდან საბიუჯეტო რესურსებზე კონტროლი.

როგორც ვიცი, ბათუმში საკრებულო ოპოზიციურია, მაგრამ ქართული პოლიტიკისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა ერთი ბანაკიდან მეორეში გადასვლა. მიუხედავად ამისა, რომც დარჩეს საკრებულო ოპოზიციური, ეს არ ნიშნავს, რომ ადგილობრივ მთავრობას ბიუჯეტი არ დაუმტკიცოს. უნდა გააკონტროლოს თითოეული თეთრი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ბიუჯეტი არ დაუმტკიცოს და დაუპირისპირდეს. საბოტაჟის მექანიზმები ორივე მხარეს არის, მაგრამ ამაზე არ უნდა წავიდნენ, პირიქით, უნდა ითანამშრომლონ. მაშინ გამოვა საზოგადოება მოგებული. თუმცა, რა თანამშრომლობაზე შეიძლება იყოს საუბარი, როდესაც ერთმანეთის მისამართით ისეთი შეფასებები ისმის, რომ ზნეობრიობის, ეთიკისა და საერთოდ ყოველგვარ ფარგლებს სცდებიან.

– თბილისში როგორია თქვენი მოლოდინი?

– როგორც ჩანს, ოპოზიცია შეგუებულია, რომ თბილისი წაგებული აქვს.

– თქვენ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადეთ, რომ ღარიბაშვილმა ღარიბაშვილს გადააჭარბა. სიძულვილის ენას გულისხმობდით?

– რა თქმა უნდა! არ დარჩენილა არც ერთი ეპითეტი, რომელიც ღარიბაშვილმა აქციაზე არ გამოიყენა. მე არ ვარ კრიტიკის წინააღმდეგი. ღარიბაშვილზე ბევრად კარგად ვიცი, რას საქმიანობდა ნაციონალური მოძრაობა იმ ცხრა წლის განმავლობაში, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი და ამ საზღვარს არ უნდა გადახვიდე. ისიც გასაგებია, რომ ღარიბაშვილი ხისტი პოლიტიკოსია და მკვეთრ შეფასებებს, გამოთქმებს არ ერიდება, მაგრამ, როდესაც ვუსმენდი მის გამოსვლას, სიმართლე

გითხრათ, დამთრგუნა. ამიტომაც ვთქვი, რომ ღარიბაშვილმა ღარიბაშვილს გადააჭარბა. მეორე მხრივ, „ბიომასაზე“ საუბარი საერთოდ წარმოუდგენელია. ეს რა პოლიტიკაა, გაუგებარია. ამის შემდეგ რაიმე სახის თანამშრომლობაზე შეიძლება, იყოს საუბარი?! სრულიად წარმოუდგენელია. პრობლემა ის კი არ არის, რომ რომელიმე ქალაქი მოიგოს ოპოზიციამ, პრობლემაა, რომ ამ მოგებას დაპირისპირებისთვის გამოიყენებენ.

– თბილისში „ოცნების“ აქცია კონტრაქცია იყო?

– დიახ, ასეთი შთაბეჭდილება დატოვა. თუ ასე არ იყო ადგილებზე, იმ ქალაქებში გაკეთებინათ, სადაც მეორე ტურებია. როდესაც კობახიძე აცხადებდა, ჩვენ იმდენი მძღოლი არ გვეყოფა, რამდენი ხალხიც ოპოზიციამ გამოიყვანაო, ეს ხომ დატოლებაა. ნებისმიერ ხელისუფლებას შეუძლია ხალხის გამოყვანა და გამოუყვანიათ კიდეც სააკაშვილსაც, ასლან აბაშიძესაც, მაგრამ რა მერე?! არც არაფერი.

„კალაძე „ქართული ოცნების“ კარზე დისტანციას იკავებს“

გია ნოდია: „მეორე ტურის წინ ასე ანერვიულებული ხელისუფლება არ მახსოვს“

იაგო ნაცვლიშვილი

რის დემონსტრირება იყო „ქართული ოცნების“ აქცია და რა გზავნილი გააკეთა ივანიშვილმა არმისვლით? რატომ არის კალაძის რიტორიკა შედარებით ზომიერი, ვიდრე სხვა ლიდერების და ხომ არ არის მოსალოდნელი მისი წასვლა? რას ელის მეორე ტურისგან? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი გია ნოდია საუბრობს.

– რა გაჩვენათ „ოცნების“ აქციამ, გარდა იმისა, რომ აქამდეც ვიცოდით, გარკვეული მხარდამჭერები ჰყავს და ადმინისტრაციული რესურსის მობილიზება მოახდინა?

– მართალი გითხრათ, მაინცდამაინც თვალს არ ვადევნებდი ამ აქციას. უბრალოდ, ისეთი შთაბეჭდილება იყო, რომ ოპოზიციის 14 ოქტომბრის აქციის შემდეგ ხელისუფლებას ვალდებულება გაუჩნდა, რაღაცნაირად ეპასუხა, რადგანაც იქ უპრეცედენტოდ ბევრი ხალხი იყო. ამით სურდათ, რომ ეჯობნათ და ეს ამოცანა დაისახეს, თითქოს ოპოზიციამ აიძულა, ასეთი რამე გაეკეთებინათ.

რაც შეეხება საზოგადოებრივ აღქმას, არის ხალხი, რომლებიც მართლაც უჭერენ მხარს „ქართულ ოცნებას“ ან, უფრო სწორად, ეშინიათ ნაციონალური მოძრაობის მობრუნების და თავიანთი ფეხით მივიდნენ აქციაზე, მაგრამ ასევე არის ხალხი, რომლებიც მობილიზებული იყვნენ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებით და შეუძლებელია თქმა, მართლა თავისი ნებით რომ მისულიყო ხალხი სახელმწიფო რესურსების გარეშე, მაშინ რამდენი მივიდოდა. ამიტომ ამ თვალსაზრისით ასეთ აქციას დიდი ღირებულება არ აქვს.

– ოპოზიციისა და ამ აქციის მუხტიც რომ შევადაროთ, აქ არ იყო განსხვავებები?

– მე არ ვიცი, რა მუხტი იყო „ოცნების“ აქციაზე, მაგრამ, შემიძლია ვთქვა, რომ ნაციონალური მოძრაობის აქციაზე ვინც მივიდა, თავისით მივიდა. მივიდა იმიტომ, რომ სწამდა, უნდა მისულიყო და სწორი იყო მისი მისვლა. ჩვენთან, ტრადიციულად, არ არჩევენ ერთმანეთისგან მმართველ პარტიასა და ხელისუფლებას. ასე რომ, ეს იყო მთავრობის მიერ ორგანიზებული აქცია და შესაბამისი განწყობა იქნებოდა. ბევრი ადამიანი მოვალეობის მოხდის მიზნით მივიდა და არა იმიტომ, რომ სწამდა, „ოცნების“ აქციაზე უნდა მდგარიყო.

– შიში ხომ არ იგრძნო „ქართულმა ოცნებამ“ ნაცმოძრაობის მასშტაბური აქციის გამო და იმის დემონსტრირება ხომ არ მოახდინეს, აი, ჩვენც ბევრი ვართო?

– ცხადია, ზუსტად ამას ვამბობდი, როდესაც ვთქვი, რომ ჩათვალეს, აუცილებელი იყო პასუხი ამ აქციაზე. ოპოზიციის აქციით გაჩნდა ამის საჭიროება და ამიტომ უნდა ჩაეტარებინათ ეს აქცია.

– რაც შეეხება სააკაშვილის ჯანმრთელობის თემაზე გაჯიუტებას, როდესაც უარს ამბობენ სამოქალაქო კლინიკაში მის გადაყვანაზე, ეს რას ემსახურება?

– ერთი მხრივ, მე მგონი, აქ არის ივანიშვილის პირადი მოტივები, რომ არაფერი არ უნდა დაუთმოს, მაგრამ, გარკვეულწილად, პიარსტრატეგიაც არის და უნდათ, გაავრცელონ მიდგომა, რომ შეურყევლები არიან, მყარად დგანან ფეხზე და არაფერს არ უთმობენ, ვინაიდან ნებისმიერი დათმობა, მათი აზრით, აღიქმება სისუსტედ და არ უნდათ, აჩვენონ ეს სისუსტე.

– სისუსტის აღქმაა, როდესაც საქმე ეხება მსჯავრდებულის ჯანმრთელობას და გვაქვს ამის პრეცედენტები, მათ შორის ნაცმოძრაობის ყოფილი მაღალჩინოსნების მიმართაც, მაგალითად, ვანო მერაბიშვილის მიმართ?

– არა, მე ამას რაციონალურად ვერ ვხსნი და მით უმეტეს, ამას არ აქვს გამართლება, მაგრამ ვცდილობ ავხსნა, რა შეიძლება იყოს მათი მოსაზრება, ამ შემთხვევაში ხელისუფლების და პირადად ივანიშვილის. მერაბიშვილის შემთხვევაში ეს არ ყოფილა პოლიტიკური საკითხი. მაშინ მერაბიშვილის გადაყვანა-არგადაყვანის თემით არჩევნების შედეგი არ შეიცვლებოდა. აქ მათ ეშინიათ, რომ ფსონი გაცილებით მაღალია და ამიტომ ჰგონიათ, სისუსტის გამოჩენა მათთვის წამგებიანია. მოდით, ასე ვთქვათ, რასაც ისინი ეძახიან სისუსტის გამოჩენას. ნებისმიერი დათმობა წამგებიანად მიაჩნიათ.



– სასწორზე ვისი თამასაც ყველაზე მეტად დევს, ის ყველაზე მოზომილია „ოცნების“ ლიდერებს შორის. ვგულისხმობ კალაძეს. რითი აიხსნება ეს?

– მთელი საარჩევნო კამპანია ასე იყო და, სულ მცირე, ბოლო 1 წელია, ასეა. არ ვიცი. კალაძეს, როგორც ჩანს, აქვს დამოუკიდებელი გეგმები. თუ სხვები არიან ივანიშვილის მსახურები, თუ შეიძლება ასე ითქვას, მის ინსტრუქციებს ასრულებენ, კალაძეს აქვს თავისი პოლიტიკური ამბიციები და უნდა წარმოადგინოს თავი, როგორც პოლიტიკურმა ფიგურამ, რა თქმა უნდა, რომელიც ბიძინა ივანიშვილთან არის ასოცირებული, მაგრამ საკუთარი დამოუკიდებელი პერსპექტივაც აქვს, ამიტომ რაღაც დისტანციას იკავებს „ქართული ოცნების“ კარზე.

– ანუ შესაძლოა ველოდოთ, რომ გახარიას გზით წავიდეს?

– გამორიცხული არაფერია. რაღაც ეტაპზე შესაძლოა ეს მოხდეს ან არ მოხდეს. არა მგონია, რომ ზუსტი და მკაფიო გეგმები აქვს, მაგრამ, როგორც ჩანს, გახარია თვითონ არ გამორიცხავდა ამას, როდესაც ხაზს უსვამდა თავის სხვაგვარ დამოკიდებულებას კალაძის მიმართ.

– ამ არჩევნებისგან რას ელით, შეიცვლება რაღაცა ქვეყანაში?

– ჩემი აზრით, ამ ეტაპზე ისეთი გრძნობაა, რომ უკვე რაღაცა შეიცვალა. თავისთავად ხელისუფლების შიში მეორე ტურის მიმართ მანამდე არ ყოფილა. მანამდეც ყოფილა მეორე ტურები, მაგრამ ხელისუფლების ასეთი ნერვიულობა არ გვინახავს. რაღაცნაირად უკვე შეირყა ხელისუფლების რწმენა საკუთარ ძალებში. ამწუთში ასეთი განწყობაა, მაგრამ მომავალში რა იქნება, ამის თქმა მიჭირს.

– კოალიციური მმართველობისკენ გადავდგამთ რაღაც ნაბიჯებს, პრემიერის განცხადებების მიუხედავად?

– თუ მოიგებს ოპოზიცია სადმე რამეს, რაც შესაძლებელია, მაშინ, რა თქმა უნდა, გადავდგამთ. ეს ერთადერთი გზაა ამას ნიკა მელიამ ხაზი გაუსვა. მათაც ესმით, რომ წარმატების გზა ამაზე გადის.

– ნიკა მელიას გადაწყვეტილება მოსაწონი იქნებოდა გუნდისთვის თუ ეს იყო მელიას გადაწყვეტილება, რომელმაც ეს გზა აირჩია?

– მხოლოდ ნიკა მელიას გადაწყვეტილება ვერ იქნებოდა. შესაძლოა, აზრთა სხვადასხვაობაა გუნდში, მაგრამ ამ შემთხვევაში დასაბუთება მარტივია. ძირითადად ნაცმოძრაობის კანდიდატები არიან მეორე ტურში და, თუ უნდათ გამარჯვება, ამის ერთადერთი საშუალებაა პატარა, თუნდაც 1-2%-იანი პარტიების ამომრჩევლის მიმხრობა.

– გრძელვადიანად შეინარჩუნებენ ამ ხედვას თუ ეს არის მოკლევადიანად, მხოლოდ ამ არჩევნებზე გათვლილი?

– არა მგონია, რომ მომავალ არჩევნებზე რადიკალურად გაიზარდოს ნაციონალური მოძრაობის ამომრჩევლის რაოდენობა ისე, რომ მათ შეძლონ არჩევნების მოგება. შესაბამისად, არც მათი პოლიტიკა არ უნდა შეიცვალოს, რაც გათვლილია კოალიციაზე, მაგრამ, თუ ეს შეიცვალა და იმდენად პოპულარული გახდა ნაცმოძრაობა, რომ მარტო შეძლებს არჩევნების მოგებას, მაშინ კოალიცია არ დასჭირდება. ზოგადად, ყველგან ასეა და საქართველოც არ იქნება გამონაკლისი.

– ბოლოს ისევ „ოცნების“ აქციას რომ მივუბრუნდეთ, იქ არ მივიდა ივანიშვილი, რის მოლოდინიც ალბათ იყო. ეს რა გზავნილი იყო მისი მხრიდან?

– არ ვიცი, წარმოდგენა არ მაქვს, მაგრამ მას უნდა აჩვენოს, რომ თუ მისი პირველი წასვლის არავის სჯეროდა, მეორედ წასვლა პოლიტიკიდან რეალობაა და, აქციაზე რომ გამოსულიყო, გამოვიდოდა, რომ მეორედაც იცრუა. როგორც ჩანს, არ უნდოდა, ასე გამოსულიყო.

– იმის აღიარებაც ხომ არ არის, რომ ის აღარ დებს ფსონს „ოცნებაზე“?

– არა მგონია. აბა, რაზე დებს ფსონს?!

– მაგალითად, გახარიაზე.

– არა, მე ეგ არ მგონია.

„პანდემიის დროს ფართომასშტაბიანი მიტინგი ხელისუფლებას ძალიან დასჭირდა“

სოსო შატბერაშვილი: „უკრაინიდან ჩამოსული პირების მიმართ ხელისუფლება სწორად მოიქცა“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში შექმნილი ქაოსური ვითარების შესახებ „ახალი თაობა“ ესაუბრა „მემარცხენე ალიანსის“ თავმჯდომარე სოსო შატბერაშვილს.

– მმართველი პარტიის მიერ 27 ოქტომბერს გამართულ გრანდიოზულ მიტინგზე გაისმა მოწოდებები დაპატიმრებული საკაკაშვილისადმი. თავის მხრივ, თავისი ერთ-ერთი ბოლო წერილი მესამე პრეზიდენტმა ბიძინა ივანიშვილს მიუძღვნა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ დღევანდელი ქართული პოლიტიკა ორი ადამიანის ქიშპობასა და ურთიერთობას ეყრდნობა?

– ბევრჯერ მითქვამს, მათ შორის, თქვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუებშიც, რომ „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას ერთმანეთი სჭირდებათ. ნაციონალურ მოძრაობას ესაჭიროება, რომ ქვეყანაში მეორე პოლიტიკური პარტია იყოს. „ქართულ ოცნებას“ ხელისუფლების შენარჩუნება სურს. სანამ არენაზე იქნება ნაციონალური მოძრაობა, „ოცნება“ გამარჯვებულია. შენიშნულია, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს აშინებს ნაციონალური მოძრაობის მობრუნება. არსებობს რევანშის შიში. ხელისუფლება ამით სარგებლობს.

– ნაციონალური მოძრაობა რომ შერიგებაზე ლაპარაკობს?

– დიახ, ლაპარაკობს შერიგებაზე. იმასაც ამბობენ, გამოვსწორდებითო. საბავშვო ბაღში რომ კუთხეში მაყენებდნენ, მეც ამ სიტყვებს წარმოვთქვამდი. ბავშვის მიერ თქმული ბოდიში ერთია და მეორეა დისკრედიტებული პოლიტიკური ძალა. ბევრ ადამიანს ნაციმოძრაობის ბოდიშებისა და შერიგებისკენ მოწოდებებისა არ სჯერა. „ქართული ოცნების“ რეიტინგი დაცემულია. ამას მოწმობს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურები. ასე რომ, ხელისუფლებაც გააქციურდა.

– ნაციმოძრაობის მომხრეებშიც და მოწინააღმდეგეებშიც გაჩნდა მოსაზრება, რომ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში დაბრუნება დაწყებულია.

– ნაციონალურ მოძრაობას ახასიათებს

ასეთი თაღლითობა. მათი მტკიცებით, ნაციონალები ყოველი არჩევნების შემდეგ გამარჯვებულები არიან. არ გახსოვთ, შარშან რა ხდებოდა? 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგაც ტაშ-ფანდური გამართეს და იძახეს, გამარჯვებულები ვართო. 2008 წლის ომში „გამარჯვებაც“ აზეიმა ხალხს ნაციონალების ხელისუფლებამ. ახლაც აბსურდულ განცხადებებს აკეთებენ. მაგათ რომ ჰკითხო, 2008 წელს საქართველომ დიდი გამარჯვება მოიპოვა იმით, რომ ნიღაბი ჩამოხსნა რუსეთს. ეს ხომ სისულელეა! რუსები ვინც არიან, ბისმარკმაც გაიგო, ნაპოლეონმაც, შვედებმაც შეიტყვეს. რუსეთი ყოველთვის ჩამორჩენილი, მაგრამ სამხედრო თვალსაზრისით ძლიერი ქვეყანა (იმპერია) იყო. სტალინმა რუსეთის ახალი იმპერია შექმნა. ამ იმპერიის გავლენა აღმოსავლეთ ევროპაზეც ვრცელდებოდა. აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ჯერ კიდევ როდის წაიღეს! საკაკაშვილმა კოდორი და ახალგორიც დაუმატა. ასე რომ, გამარჯვებაზე ყვირილი თაღლითობაა. ნაციმოძრაობის ერთი მომხრე მიმტკიცებს, რომ ზუგდიდში მეორე ტურს იგებს ოპოზიციის კანდიდატი ანზორ მელია. დავუშვათ, ასეა. მერე რა? ამით პარლამენტისა და მთავრობის შემადგენლობა იცვლება?! „ოცნება“ ამას სათავისოდ გამოიყენებს.

– როგორ?

– პოლიტიკოსებსა და იურისტებს ახასიათებთ – ქოთანს ყურს, საითაც უნდათ, იქით მოაბამენ. თუ მეორე ტურში სადმე ოპოზიციამ მოიგო არჩევნები, ხელისუფლება იტყვის, რომ საქართველოში დემოკრატიაა.

– ნაციმოძრაობის მოწინააღმდეგეები რატომ საუბრობენ ნაციმოძრაობის დაბრუნებაზე?

– არჩევნების გამო. განგაშს ტეხენ, რომ ხალხი 30 ოქტომბერს საარჩევნო უბნებზე მიიყვანონ. „ოცნების“ ბევრი მომხრე ვიცი, რომლებმაც პირველ ტურზე მისვლა დაიზარეს. ახლა დასჭირდათ ქუდზე კაცის გამოყვანა.

– ამ პანდემიის დროს ხალხმრავალი მიტინგიც ამიტომ გახდა საჭირო?

– პანდემიის დროს ხალხმრავალი მიტინგი ხელისუფლებას ძალიან დასჭირდა. სხვა გზა არ ჰქონდა. მოგეხსენებათ, 14 ოქტომბერს დიდი აქცია გამართა ნაციმოძრაობამაც. იმდენი ხალხი არ ყოფილა, რამდენსაც თვითონ ასახელებენ, მაგრამ მაინც მასშტაბური შეკრება გამოვიდა. ჩვენ აქციებზე დათვლის სისტემებში გარკვეული ვართ. ოპოზიციის აქციაზე იმყოფებოდა მაქსიმუმ 20.000 კაცი. ოპოზიციისთვის ეს ბევრია. ხელისუფლებამაც ჩამოიყვანა ადამიანები რეგიონებიდან. ამას თბილისელები დაემატნენ. ჩემი აზრით, ასეთ ღონისძიებებზე ძალიან დიდი თანხები იხარჯება. ამას სჯობია, ორივე მხარემ მშიერი მოქალაქეები დააჭაროს. კარგი იქნება, ხელისუფლებამ გაიხსენოს, რა ხდება ფარმაცევტულ ბაზარზე და წამლებზე ერთწლიანი შეღავათები მაინც შემოიღოს. აფთიაქების ხშირი სტუმარი ვარ. იქ ბევრჯერ მინახავს ატირებული ადამიანები, რომლებიც სიძვირის გამო მედიკამენტებს ვერ ყიდულობენ. „ოცნების“ მიტინგი უფრო უცხოელებისთვის გაიმართა.

– რის თქმა უნდოდა „ოცნებას“?

– იმის, რომ საკაკაშვილის ციხეში ჯდომა ხალხის სურვილიც არის.

– საკაკაშვილი შიმშილობას აგრძელებს. მალე ერთი თვე გავა შიმშილობის დაწყებიდან. საქართველოში არ შემოუშვეს მასთან უკრაინიდან ჩამოსული ჟურნალისტი და რედაქტორი გორდონი, ასევე – ერთი იურისტი. უკრაინის სახალხო დამცველს შეექმნა დაბრკოლება შემოსვლის დროს.

– უკრაინიდან ჩამოსული პირების მიმართ ხელისუფლება სწორად მოიქცა. საქართველოში მუშაობს უკრაინის საელჩო, რომელიც ფლობს ინფორმაციას ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე, მათ შორის, საკაკაშვილზე. არ არის აუცილებელი, საკაკაშვილის სანახავად დელეგაციები დადიოდნენ. თავის დროზე საკაკაშვილს მისცეს უკრაინის მოქალაქეობა და დანიშნეს ოდესის გუბერნატორად. შემდეგ საკაკაშვილი გაათავისუფლეს, გაძევეს უკრაინიდან. ის უკრაინაში დაბრუნდა. მომდევნო ხელისუფლებამ საკაკაშვილს უფლებები აღუდგინა და სხვა თანამდებობა ჩაბარა. უკრაინა არ სთანხმდებოდა საკაკაშვილის საქართველოსთვის გადმოცემას. უკრაინის ხელისუფლები არადიპლომატიურები იყვნენ საქართველოს მიმართ. ახლა თუ ვინმე არ შემოუშვეს საკაკაშვილის სანახავად, დიდი ტრაგედია არ არის. ერთი ამბავია ატეხილი იმაზე, რომ საკაკაშვილი უნდა გადაიყვანონ მრავალპროფილურ კლინიკაში.

– არსებობს აზრი, რომ ციხის საავადმყოფოში მის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება.

– არაფერიც არ დაემუქრება. „კანონიერი ქურდებისა“ ხომ არ ეშინიათ? თავის დროზე საკაკაშვილმა მათ ომი გამოუცხადა. კაბინეტიდან რომ ესაუბრებოდა ქურდებს, ახლა პირადადაც ესაუბროს. ეს შიმშილობაც შოუდ აქციეს.

– რაზე საუბრობთ?

– წარმოუდგენელია, ნაშიმშილარი კაცი დახტოდეს ფანჯრის გისოსებზე და მთელი ხმით ყვიროდეს. გავრცელდა მოშიმშილე საკაკაშვილის გადიდებული ფოტოები. გამხდარიც კი არ არის, გვარიანად მოფერიანებულია. ერთგან წავიკითხე, რომ ციხის მაღაზიაში პური და ფუნთუშები შეიძინა. მას გადასხმებიც უტარდება, წვენებსა და თაფლსაც მიირთმევს, იმუქრება, სამედიცინო მომსახურებაზე უარს ვიტყვიო, ხალხს აშანტაჟებს. მისი ექიმი ნიკა ყიფშიძე ირწმუნება, რომ მიშა მხნედაა. გუბაზ სანიკიძის შეფასებით, ის ალესილი მახვილივითაა. ამავე დროს, ნიკა გვარამია ამბობს, რომ ნებისმიერ დროს შეიძლება გაუჩერდეს გული. ხალხო, ეს ყველაფერი მეორე ტურის მოგებისთვის კეთდება. კარლსონი აშანტაჟებდა ბიჭუნას, თუ ტკბილეულს არ მომიტან, ვერ გამოვჯანმრთელდებიო. ესეც შანტაჟია. მგონია, რომ გარკვეული ხნის შემდეგ საკაკაშვილს გამოუშვებენ. მას გარეთ ბევრი ვილა და მანჰეტენის ბანკში შენახული მილიონები ელოდება.

„ხალხი გვეუბნება, ბოლოჯერ გიცხადებთ ნდობასო“

დათო ლორთქიფანიძე: „დიდი რაოდენობით ხალხის აქციაზე მისვლა მოსალოდნელიც იყო. ხელისუფლებას მეტი მხარდამჭერი ჰყავს, ვიდრე ოპოზიციას“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მე-9 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი „ქართული ოცნებიდან“ დათო ლორთქიფანიძე პასუხობს.

– ბატონო დათო, 27 ოქტომბრის აქციაზე თუ იყავით?

– რა თქმა უნდა.

– თქვენმა ოპონენტებმა განაცხადეს, რომ „ოცნებამ“ აქცია საკუთარი ხალხის წინააღმდეგ გამართა. რა პასუხი გაქვთ ამაზე?

– ამ ოპოზიციის „საოცრებებისაგან“ დაზღვეული არ ვართ. ეს არის ოპოზიციის მორიგი საოცარი განცხადება. „თავისი ხალხის წინააღმდეგ აქცია“ რას ნიშნავს? ვინ აუკრძალა თუნდაც მმართველ პოლიტიკურ ძალას აქციის გამართვა ისევე, როგორ ოპოზიციურ ძალას, რომელმაც 14 ოქტომბერს დედაქალაქში გამართა აქცია?

არც მმართველ პოლიტიკურ ძალას ეკრძალება აქციის გამართვა. მთავარია, რეგულაციები დაცული იყოს. მე, პირადად, აქციაზე არ შემხვედრია ადამიანი, რომელსაც პირბადე არ ეკეთა. რუსთაველის პროსპექტი მთლიანად ფეხით გავიარე და ვიცი აქციაზე გამომსვლელები. რეგულაციები მაქსიმალურად დაცული იყო. ამიტომ მათი განცხადება აბსოლუტურად გაუგებარი და მიუღებელია.

– ხალხის რაოდენობით კმაყოფილი ხართ?

– დიდი რაოდენობით ხალხის აქციაზე მისვლა მოსალოდნელიც იყო. ხელისუფლებას მეტი რესურსი აქვს, მეტი მხარდამჭერი ჰყავს, ვიდრე ჩვენს მოცემულობაში ე.წ. ოპოზიციას. ველოდებოდი, ბევრი ხალხი იქნებოდა და ძალიან წარმომადგენლობითი აქცია ჩატარდა.

– სოციალურ ქსელში გავრცელდა ფოტოები, სადაც ადმინისტრაციულ შენობებში შევიდნენ ნაციონალები და გადმოფინეს ლოზუნგები: „თავისუფლება საკაკაშვილს“. წერდნენ, რომ ყველა მიტინგზე იყო წამოსული და ადვილად მოახერხეს შენობაში შესვლა. ამით ამტკიცებდნენ, ადმინისტრაციული რესურსი გამოიყენესო. ამაზე რა რეაქცია გაქვთ?

– სიმართლე გითხრათ, ეგ ფოტოები არ მინახავს. ერთი სიუჟეტი ვნახე, თუ არ ვცდები, ლანჩხუთზე. მათი ქმედება არ არის იმის მანიშნებელი, რომ შენობაში არავინ იყო. რამდენი კაციც უნდა ყოფილიყო აქციაზე წამოსული, ყველა მერიასა თუ საკრებულოში არის დაცვის სამსახური, თან, თუ ერთ მუნიციპალიტეტში რაღაც მოხდა, მისი მთელ ქვეყანაზე განზოგადება არ შეიძლება. ის ადამიანები შენობაში დაცვის სამსახურს რომ არ შეეშვა, განგაშს ატეხდნენ.

– თითქოს შეიპარნენ.

– არა, ჩემი ინფორმაციით, ის ადამიანები ადგილობრივი საკრებულოს დეპუტატები იყვნენ. საკრებულოს დეპუტატს ან მერიის თანამშრომელს შენობაში როგორ არ შეუშვებ. თუ ის ოპოზიციურადაა განწყობილი და თავისი სამუშაო ოთახიდან რაიმე ბანერს გადმოფენს, არა მგონია, ამის ოპერატიულ ინფორმაციას სპეცსამსახური უნდა ფლობდეს. მერიის შენობაზე ბანერის გამოკვრაც დიდი ტრაგედია არ არის.

ისინი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები არიან. მათ ჰქონდათ სტატუსი, საკრებულოს წევრები იყვნენ, მათი სამუშაო ადგილზე არშეშვება დანაშაული იქნებოდა. შესვლის წინ დაცვის სამსახურმა „შმონი“ არ ჩაუტარა და ისარგებლეს. როგორც ჟურნალისტი, დაინტერესდით, ის ადამიანები კონკრეტულად ვინ იყვნენ. სამსახურიდან ხომ არ გაუთავისუფლებიათ ან რაღაც ხომ არ მომხდარა? დარწმუნებული ვარ, არაფერი მომხდარა.

– „ოცნებამ“ 2 ოქტომბრამდე სხვაგვარი საარჩევნო კამპანია აწარმოა. მეორე ტურის წინ ტაქტიკის შეცვლა საკაკაშვილის საქართველოში დაბრუნებით იყო განპირობებული?

– მიღებულმა შედეგმა საარჩევნო კამპანიაში კორექტივები შეიტანა. თავს ნუ მოვიტყუებთ და ნუ ვიტყვით, რომ ამ შემთხვევაში საკაკაშვილი არაფერ შუაშია. საკაკაშვილს, მოგვწონს თუ არა, გარკვეული ელექტორატი ჰყავს, რომელიც მას ბრმად ენდობა, მის მიმართ ფანატიზმში გადასული ლტოლვა აქვთ.

გეთანხმებით, 2 ოქტომბრამდე ნაკლები დოზებით ხდებოდა შვილმკვდარი დედების, ნაწამები ადამიანების ისტორიების ჩვენება. აქციის დღეს მე და ჩემმა ახლობელმა რუსთაველზე ფეხით გავიარეთ და გავიგეთ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის განწყობა. მოქალაქეები გაგვესაუბრნენ. მადლობელი ვარ, რომ ხალხი ძალიან თბილად გვხვდებოდა, გვესაუბრებოდა. მოსახლეობის განწყობაა, რომ 30 ოქტომბრის შემდეგ ეს უნდა გაგრძელდეს.

– რა უნდა გაგრძელდეს?

– 30 ოქტომბრის შემდეგ, თუ ნაცრეჟიმის მხილების ტალღა ისევ მინელდება და მათ მიერ ჩადენილ და ახლა კვლავ წამოტივტივებულ დანაშაულებზე ხელისუფლებას ისეთი რეაქცია არ ექნება, როგორიც უნდა ჰქონდეს სამართლიანობის აღდგენის თვალსაზრისით, საზოგადოება გაღიზიანებული დარჩება.

ადამიანები პირდაპირ მეუბნებოდნენ, თუ ამაზე რეაქცია არ გექნებათ, პასუხს თქვენ მოგთხოვთო. ხალხის განწყობა ასეთია. ხალხმა კიდევ ერთხელ გამოგვიცხადა ნდობა და გვეუბნება, ბოლოჯერ გიცხადებთ ნდობასო.

ქაშვეთის ტერიტორიაზე შემთხვევით ეროვნული ზარაფხანის თანამშრომლები შემხვდნენ და გამახსენეს, თუ როგორ წაიღო ნაცხელისუფლებამ სახელმწიფო საწარმო, საქართველოს ეროვნული ზარაფხანა.

ფაქტობრივად, ზარაფხანა სახელმწიფოს აახიეს და კობა ნაყოფიას აჩუქეს, რომელიც დღეს არის ნაციმოძრაობის სახე, მისი ერთ-ერთი ლიდერი, მისი დამფინანსებელი. ნაცხელისუფლებამ ნაყოფია 2004 წელს ჩამოიყვანა. მაშინ ნაყოფია არავითარი ქონების პატრონი არ იყო.

– მაშინ როგორ ჩაიგდო ნაყოფიამ ეროვნული ზარაფხანა ხელში?

– ნაყოფია ბენდუქიძის პროტეჟეა. ერთ წელიწადში მას მიაჩუქეს სახელმწიფო საწარმო, ეროვნული ზარაფხანა, რომლის საწესდებო კაპიტალი 8 მილიონი იყო. ნაყოფიამ მოახერხა, რომ ეროვნული ზარაფხანა კაპიკებში ჩაეგდო ხელში. ამის შემდეგ ნაყოფია გახდა მილიონერი, მადნეულში, კვარიტიში სერიოზული გავლენებით. მოკლედ, დიდი ფული იშოვა.

ამიტომ დღეს მისგან და მისი მიმდევრებისაგან რაღაც სახელმწიფო დანაშაულებზე ლაპარაკი ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია. მართალია ჩვენი საზოგადოება. ამის გამო მათ პასუხი რომ მოჰკითხვოდათ, დღეს ამას ვერ გააკეთებდნენ.

– თქვენ რა რეაქცია გქონდათ, ზარაფხანას რომ გართმევდნენ?

– თანამშრომლებმა ეროვნული ზარაფხანის ხელში ჩაგდების ეპოპეა გამახსენეს და მადლობა გადამიხადეს, რომ მე ვეწინააღმდეგებოდი ამ პროცესს. უარი ვთქვი სახელმწიფო საწარმოს პრივატიზაციაზე, რადგან ამ საწარმოს პრივატიზაციას კანონი კრძალავდა. საპრივატიზაციო კომისია არ შევქმენი, რასაც მავალებდა ოფიციალური წერილით მაშინდელი ეკონომიკის მინისტრი ბენდუქიძე.

– ბენდუქიძე დაგიპირისპირდათ?

– ჩვენ შორის დაპირისპირება იმ დონემდე მივიდა, რომ საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით გააკეთა განცხადება, ზარაფხანის დირექტორ დათო ლორთქიფანიძეს ვაჩვენებ, აქ „ხაზეინი“ ვინ არისო. ეს იყო 2004 წელს, მაშინ, როდესაც ადამიანებს სახლში უვარდებოდნენ, საძინებლიდან გამოჰყავდათ და აპატიმრებდნენ. ნაცძალასთან მაშინაც დაპირისპირებული ვიყავი, რადგან საწარმოს გაყიდვას კანონი კრძალავდა.

მე სასამართლოში სარჩელი შევიტანე უკანონო პრივატიზაციის წინააღმდეგ. მოპასუხე მხარე ეკონომიკის სამინისტრო და მინისტრი ბენდუქიძე გახლდათ. გაგიკვირდებათ, სასამართლომ რა მოტივით არ განიხილა საქმე. თითქოს ბენდუქიძის მისამართი ვერ დაადგინა. ბენდუქიძე მაშინ თბილისში რეგისტრირებული არ იყო. ბინის მისამართი არ ჰქონდა, სასტუმრო „მერიოტში“ ცხოვრობდა.

სასამართლოდან განჩინება მომივიდა, რომ ბენდუქიძის მისამართი ვერ დაადგინეს. კანონი იმპერატიულად მოითხოვს, თუ საცხოვრებელი მისამართი ვერ დგინდება, სარჩელი სამუშაო ადგილზე უნდა გაეგზავნოს. სასამართლოს უნდოდა და ბენდუქიძეს სარჩელი ვერ ჩააბარეს? ვუთხარი, რომ სამინისტროშია და სარჩელი იქ მიეტანათ.

ცხადია, ჩემი სარჩელი არ განიხილეს, შემდეგ, შვებულებაში ყოფნის დროს, ეროვნული ზარაფხანა სხვა პერსონას ჩააბარეს, მან კი უყოყმანოდ გადასცა.

– ზარაფხანა ისეთი საწარმოა, რომლის პრივატიზაცია დასაშვები არ არის?

– დიახ, ზარაფხანის პრივატიზაცია დასაშვები არ არის. საქართველოს ეროვნული ზარაფხანა სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი ატრიბუტია, რაც კანონში პირდაპირ წერია. პერსპექტივაში ზარაფხანაში ქართული ფული უნდა მოჭრილიყო, თავიდან – ხურდა ფული, შემდეგ – ქაღალდის ფული. მე ვიყავი რამდენიმე ქვეყნის ეროვნულ ზარაფხანაში. მათი გამოცდილებიდან გამომდინარე, ჩვენ ამის გაკეთებას ვაპირებდით.

პროკურატურა: „ისრაელში დაკავებულია დანაშაულებრივი ჯგუფის რამდენიმე ხელმძღვანელი პირი“

ერთობლივად დაგეგმილი ღონისძიებების შედეგად ისრაელში დაკავებული იქნა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის რამდენიმე ხელმძღვანელი პირი.

ამის შესახებ გენერალურ პროკურატურაში 28 ოქტომბერს გამართულ ბრიფინგზე პროკურორმა ამირან გულუაშვილმა განაცხადა.

– ჩატარებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები ერთობლივად იგეგმებოდა ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში საქართველოს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ისრაელის სახელმწიფოს სამართალდამცავი უწყებების აქტიური ჩართულობითა და სისხლის სამართლის სფეროში თანამშრომლობის ევროკავშირის იუსტიციის ერთიანი ქსელის – ევროჯასტის მხარდაჭერით. 19 ოქტომბერს, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრთა დაკავების ღონისძიება და მასთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები, მხარეთა შეთანხმებით ერთდროულად დაიწყო საქართველოსა და ისრაელში, რის შედეგადაც ორივე სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაკავებული იქნა დანაშაულებრივი ჯგუფის 11 წევრი.

ისრაელში დაკავებული იქნა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის რამდენიმე ხელმძღვანელი პირი.

დაგეგმილი ღონისძიება ჩატარდა გერმანიის ბამბერგის გენერალური სახელმწიფო პროკურატურისა და კიბერდანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის ბავარიის ცენტრალური ოფისის ბავარიის სახელმწიფო პოლიციის მხარდაჭერით. საქართველოში ღონისძიებას უძღვებოდა საქართველოს პროკურატურა, ევროჯასტში საქართველოს მეკავშირე პროკურორთან კოორდინაციით. ისრაელში მხარდაჭერას ახორციელებდნენ იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო პროკურატურის საერთაშორისო საქმეთა დეპარტამენტი, თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო და ისრაელის პოლიციის საერთაშორისო სამართლებრივი დახმარების სამმართველო, – განაცხადა პროკურორმა.

უწყებებმა გერმანიაში, საქართველოსა და ისრაელში დაშალეს დანაშაულებრივი ქსელი, რომელიც ახდენდა სხვადასხვა ონლაინ სავაჭრო პლატფორმის ოპერირებას და თაღლითურად ეუფლებოდა დაზარალებულთა კუთვნილ, ათობით მილიონ ევროს.

– საქმეზე გრძელდება ინტენსიური გამოძიება და საერთაშორისო თანამშრომლობა დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების, ასევე ანალოგიური საქმიანობით დაკავებული სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირების გამოვლენისა და მხილების მიზნით, – აღნიშნა ბრიფინგზე ამირან გულუაშვილმა.

პატიმარი გია ყაზარიშვილი: „ციხეში ცოცხით არავის გავუუპატიურებივარ. ეს სცენა ბედუკაძემ დადგა“

– ციხეში ცოცხით გაუპატიურება არ მომხდარა – ამის შესახებ ვრცელ ინტერვიუს 2012 წელს გადაღებული ცნობილი ვიდეოს ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტი აცხადებს.

პატიმარი გია ყაზარიშვილი, რომლის ვიდეომასალამაც 9 წლის წინ საქართველო შეძრა, ამბობს, რომ სცენა დადგმული იყო.

პატიმარმა დუმილი საგამოძიებო ჟურნალისტიკის ბიუროსთან ინტერვიუში დაარღვია და აღწერა, როგორ ათამაშა ლადო ბედუკაძემ გაუპატიურების როლი. საქმე ეხება მხოლოდ ცოცხის ეპიზოდს, რომელიც უკვე 9 წელია, „ქართული ოცნების“ პოლიტიკური განცხადებების მთავარი სიმბოლოა.

– სპორტული შარვალი ჩამიწია, საცვალი არ ჩაუწევია, ჩამიდო ფეხებში და გადამიღო სურათი, – ამბობს პატიმარი.

ინტერვიუ გია ყაზარიშვილმა „ქრონიკა პლიუსის“ რედაქტორს ელისო კილაძეს მისცა. კილაძის თქმით, რეალურად საკანი №5 არ არსებობს და ეს პატიმარმაც დაადასტურა.

– ჩვენ ყველანი ვეჭვობდით, რომ ცოცხებით გაუპატიურების სცენა, რომელიც ლადო ბედუკაძემ შემოგვთავაზა და რომელმაც რეალურად შეცვალა 2012 წელს პოლიტიკური ლანდშაფტი და „ქართული ოცნება“ მოიყვანა ხელისუფლებაში, იყო დადგმული, მაგრამ ამის დოკუმენტური მტკიცებულება არ გვქონდა.

ის დაჯდა და მოყვა, რომ ეს სცენა არის დადგმული, რომელმაც ყველა სტრესში ჩაგვაგდო, ლადო ბედუკაძემ გადაიღო რამდენიმე დუბლი, რომ ცოცხების სცენა გამოსულიყო ასეთი შთამბეჭდავი, რამდენიმე დუბლის შემდეგ საუკეთესო ვარიანტი ამოარჩია და შემოგვთავაზა, როგორც წამება და არაადამიანური მოპყრობა.

არანაირი საკანი №5 არ არსებობს, ის იჯდა მე-15 საკანში და ესეც იყო ბედუკაძის ინსცენირების და რუსული სპეცოპერაციის ნაწილი, რეალურად ცოცხით გაუპატიურებას ადგილი არ ჰქონია, – ამბობს ელისო კილაძე.

ირაკლი ღარიბაშვილი: „ქოლ-ცენტრების უკან, სავარაუდოდ, ბატონი კეზერაშვილი დგას“

– ამ ქოლ-ცენტრების უკან, ეს არ არის მხოლოდ ჩემი სპეკულაცია ან გავრცელებული ჭორი, ეს არის დადასტურებული ინფორმაცია, მათ შორის უცხოურ მედიაშიც იყო ამის თაობაზე სიუჟეტები მომზადებული, სავარაუდოდ, დგას ბატონი კეზერაშვილი.

ასე გამოეხმაურა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გავრცელებულ ინფორმაციას, რომ ქოლ-ცენტრების უკან, რომელზეც გერმანულ მხარესთან თანამშრომლობით 7 ადამიანი დაიკავეს, საქართველოს ხელისუფლება დგას.

– ჩვენ მოვისმინეთ მორიგი უსუსური მცდელობა, „მთავარი არხის“, გვარამიას მორიგი ბოდვა, რა თქმა უნდა, ეს არის სრული სიცრუე და გეტყვით, რა ხდება რეალურად. რეალურად საქმე გვაქვს იმასთან, რომ ამ ქოლ-ცენტრების უკან, ეს არ არის მხოლოდ ჩემი სპეკულაცია ან გავრცელებული ჭორი, ეს არის დადასტურებული ინფორმაცია, მათ შორის უცხოურ მედიაშიც იყო ამის თაობაზე სიუჟეტები მომზადებული, სავარაუდოდ დგას ბატონი კეზერაშვილი.

მას ქოლ-ცენტრები ჰქონდა უკრაინაში, მე მგონი, ახლაც აქვს, აქაც ჰქონდა მცდელობა და რეალურად გამოძიებისგან, რომელიც ნახეთ და რომელშიც ჩვენს პროკურატურასთან ერთად ჩართულია გერმანიის პროკურატურაც, ძალიან მალე თქვენ კიდევ საინტერესო დეტალებს გაიგებთ.

ეს ინფორმაცია გავრცელდა ერთ-ერთ შვედურ გამოცემაში და თქვენ შეგიძლიათ, თავად მოიძიოთ აღნიშნული ინფორმაცია, ეს არ არის ჩემი ინფორმაცია. მე მოგაწოდეთ ინფორმაცია, რომელიც გავრცელდა შვედეთის საინფორმაციო საშუალებებში.

თქვენც ხომ კარგად იცით, რომ ამ ყველაფრის უკან დგას კეზერაშვილი, ჩვეულებრივი მძარცველი. როცა კითხვას დამისვამთ კეზერაშვილის უკანონო ბიზნესსაქმიანობაზე, იცოდეთ, რომ პასუხს გაგცემთ, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი ღარიბაშვილი: „დაახლოებით ერთი წლის წინ გავაჟღერე ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი საწარმოს იდეა“

– დაახლოებით ერთი წლის წინ გავაჟღერე ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი საწარმოს იდეა. ამ საკითხზე ინტენსიურად დავიწყეთ მუშაობა და თქვენ ხედავთ ავტომატური შაშხანების ერთობლივ საწარმოს.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა „დელტას“ ბაზაზე ნატოს სტანდარტის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი ქართულ-ებრაული საწარმო „დელტა სიეიეის“ დათვალიერების შემდეგ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, მნიშვნელოვანია, რომ ავტომატის ყველა დეტალი ადგილზე იქნება წარმოებული.

– ეს არის კიდევ ერთი შესრულებული საქმე, ჩვენი დაპირება, რომელიც მე დაახლოებით ერთი წლის წინ გავაჟღერე, ამ საკითხზე ინტენსიურად დავიწყეთ მუშაობა და თქვენ ხედავთ ავტომატური შაშხანების ერთობლივ საწარმოს. აქ ჩვენ ჩამოვიტანეთ უმაღლესი დონის, ამერიკული ჩარხი-დანადგარები, ეს არის უმაღლესი დონის უახლესი ტექნოლოგია და ავტომატის წარმოების ყველა დეტალი აქ მზადდება.

ჩვენ დღეს უკვე დავიწყეთ, ოფიციალურად გავხსენით საწარმო და დავიწყებთ მ4-ის ტიპის მსგავსი გი-4-ების წარმოებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია და მე ვულოცავ „დელტას“ და მთლიანად თავდაცვის სამინისტროს ამ ძალიან მნიშვნელოვან საწარმოს.

ამას გარდა, მოგეხსენებათ, რომ ავტომატის ყველა დეტალი, მათ შორის პლასტმასის დეტალები, ყველაფერი იქნება ადგილზე წარმოებული. ჩვენ დავატრენინგეთ ჩვენი პერსონალი, ადამიანები, რომლებიც აქ მუშაობენ, ძალიან მნიშვნელოვანია და მე ვულოცავ ყველას ამ მეტად მნიშვნელოვანი საწარმოს გახსნას, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა ქართულ-ებრაული საწარმო თავდაცვის მინისტრ ჯუანშერ ბურჭულაძესთან და თავდაცვის ძალების მეთაურ გიორგი მათიაშვილთან ერთად დაათვალიერა და წარმოების პროცესს ადგილზე გაეცნო.

ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის გი-4 (5.56) ადგილობრივი წარმოების პროექტის განხორციელების პროცესი ირაკლი ღარიბაშვილის თავდაცვის მინისტრობის პერიოდში დაიწყო, თავდაცვის სამინისტროსა და ებრაულ კომპანიას შორის ხელშეკრულება კი 2021 წლის მაისში გაფორმდა.

პროექტის მიხედვით, საწარმოში დამზადებული ნატოს სტანდარტების შესაბამისი შაშხანები გი-4 (5.56) საქართველოს თავდაცვის ძალებს გადაეცემა, რაც ხელს შეუწყობს სამხედრო ქვედანაყოფების თანამედროვე შეიარაღებით აღჭურვის პროცესს.

ახალი ქართულ-ებრაული საწარმო აღჭურვილია წამყვან ქვეყნებში წარმოებული უახლესი ჩარხ-დანადგარებითა და გი-4 (5.56) ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის სრული ტექნოლოგიური პროცესი ადგილზე წარიმართება. საწარმოს ფუნქციური დატვირთვა მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება, რაც სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღისა და აქსესუარების წარმოების შესაძლებლობას შექმნის.

საწარმოში შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ტიპის იარაღის მოდერნიზებაზე მუშაობაც. ასევე, სამომავლოდ დაგეგმილია პროდუქციის საექსპორტო წარმოება. საწარმო დაკომპლექტებულია უმაღლესი სასწავლებლის წარჩინებული კურსდამთავრებულებით, რომლებმაც შესაბამისი გადამზადება უკვე გაიარეს.

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ახალი საგანმანათლებლო პროგრამა დაიწყება

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან კოორდინაციითა და საქართველოში შვეიცარიის საელჩოს მხარდაჭერით, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა ინიციატივით საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ახალი საგანმანათლებლო პროგრამა დაიწყება.

საქართველოში ავტოსატრანსპორტო საშუალების ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მართვის პრევენციის სასწავლო პროგრამის დანერგვის შესახებ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ, შვეიცარიის ელჩმა საქართველოში ქრისტიან შოენენბერგერმა, აღმოსავლეთ ევროპაში პრობაციის სერვისების განვითარების ასოციაციის (VEBO), არასამთავრობო ორგანიზაცია „გლობალური კავშირები საქართველოსა“ და ფონდი „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“ ხელმძღვანელებმა მოაწერეს ხელი.

ახალი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი იქნება საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალების მართვისა და მასთან დაკავშირებული მძიმე შედეგების შემცირება.

პროგრამა ხორციელდება საქართველოში შვეიცარიის საელჩოს მხარდაჭერით, არასამთავრობო ორგანიზაცია „გლობალური კავშირები საქართველოსა“ და ფონდი „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“ მიერ, „აღმოსავლეთ ევროპაში პრობაციის სერვისების განვითარების ასოციაციასთან“ (ვებო) თანამშრომლობითა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან კოორდინაციით.

შს მინისტრი შვედეთის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური შვედეთის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ულრიკ ტიდესტრომსა და შვედეთის სამეფოს ახლადდანიშნულ პოლიციის ატაშეს იოჰან გრენფორს შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შვედეთის სამეფოს სამართალდამცავ უწყებას შორის არსებული წარმატებული თანამშრომლობა განიხილეს.

ვახტანგ გომელაურმა ხაზი გაუსვა ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის მნიშვნელობას და სტუმრებს უვიზო მიმოსვლის წარმატებით გაგრძელების მიზნით სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე ინფორმაცია მიაწოდა.

ვახტანგ გომელაურმა პოლიციის ატაშეს თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა. შინაგან საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ შვედეთის სამეფოს პოლიციის ატაშეს დანიშვნა ურთიერთობის შემდგომი განვითარების ნათელი წინაპირობაა.

შეხვედრის დასასრულს, მხარეებმა სამომავლო ურთიერთობის პრიორიტეტულ მიმართულებებზე ისაუბრეს.

აჭარაში 2 უკანონო სახერხი საამქრო გამოავლინეს

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა აჭარაში 2 უკანონო სახერხი საამქრო გამოავლინეს.

ამის შესახებ ინფორმაციას გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ავრცელებს.

მისივე ინფორმაციით, დაურეგისტრირებელი საამქროები შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრილსა და ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნამონასტრევშია გამოვლენილი.

„გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის აჭარისა და გურიის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ დაურეგისტრირებელი ლენტური ტიპის სახერხი საამქროები გამოვლენილია შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრილსა და ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნამონასტრევში.

მოქალაქეებს უკანონო სახერხი საამქროები საკარმიდამო ეზოებში ჰქონდათ მოწყობილი.

ორივე აღნიშნული ფაქტი შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს. მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, შესაბამის უწყებებში გადაიგზავნა“, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

სომხეთი თურქეთთან ურთიერთობების დასაწყებად მზად არის

– ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ მზად ვართ, დავიწყოთ ურთიერთობა თურქეთთან, რათა ურთიერთობების ნორმალიზაციის საკითხები განვიხილოთ.

ამის შესახებ სომხეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა არმენ გრიგორიანმა განაცხადა.

მისი თქმით, სომხეთი ამ პროცესის განვითარების საკითხს რუს კოლეგებთან ერთად განიხილავს.

– ჩვენ ვმსჯელობთ რუს კოლეგებთან, თუ როგორ შეიძლება, ეს პროცესი წინ წავიდეს. უფრო პროდუქტიული იქნება, თუ ამ პროცესებს დავიწყებთ, რადგან როგორც ჩვენ, ასევე თურქულმა მხარემ აღვნიშნეთ, რომ არსებობს დადებითი სიგნალები, – განაცხადა არმენ გრიგორიანმა.

ისრაელი მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე 3.000 სახლს ააშენებს

ისრაელის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე 3.000 ახალი სახლი აშენდება, სადაც ებრაული ოჯახები დასახლდებიან.

ქვეყნის დაგეგმვის კომიტეტმა საბოლოოდ დაამტკიცა კიდევ 1.800-მდე სახლის მშენებლობა, მაშინ როდესაც პირველი გეგმის მიხედვით 1.344 სახლი უნდა აშენებულიყო. ისრაელის განცხადებას ექსპანსიასა და აგრესიულ ქმედებას უწოდებს დასავლეთ სანაპიროს ხელისუფლება.

ამჟამად დასავლეთ სანაპიროს 145-ზე მეტ დასახლებაში 600.000-ზე მეტი ებრაელი ცხოვრობს.

დასავლეთ სანაპიროში ისრაელის მიერ ახალი დასახლებების აშენებას აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის ადმინისტრაცია აკრიტიკებს.

თეთრი სახლის თქმით, დასახლებები ისრაელსა და პალესტინას შორის კონფლიქტს კიდევ უფრო გააღრმავებს.

ინდოეთმა ბალისტიკური რაკეტა გამოცადა

ინდოეთმა „ხმელეთი-ხმელეთი“ კლასის ბალისტიკური რაკეტა გამოცადა.

რაკეტას ბირთვული შესაძლებლობები აქვს, სამიზნეებზე დარტყმის განხორციელება 5.000 კილომეტრის მანძილზე ძალიან მაღალი სიზუსტით შეუძლია.

რაკეტა აბდულ კალამის კუნძულიდან, ოდიშას სანაპირო ზოლიდან გაუშვეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ქალმა საკუთარი გატაცება გაითამაშა და გამოსასყიდი თანხა ლოტოს თამაშში გაფლანგა

ესპანეთში ქალმა საკუთარი გატაცება მოაწყო, ქმარი აიძულა, მასში გამოსასყიდი გადაეხადა და მისი ნაწილი ბინგოს თამაშში დახარჯა.

47 წლის ესპანელმა გატაცების ისტორია იმ დროს მოიფიქრა, როდესაც მისი ქმარი საავადმყოფოში იმყოფებოდა. მან ცოლისგან მიიღო შეტყობინება, რომლითაც გამოგონილი გამტაცებლები ექვსი ათას ევროს მოითხოვდნენ. შეშინებულმა მამაკაცმა მაშინვე პოლიციას მიმართა.

პოლიციამ მობილიზება გაუკეთა გატაცებებთან ბრძოლის ელიტურ ქვედანაყოფს და სამძებრო ოპერაციას შეუდგა. მალე სამართალდამცავებმა სათვალთვალო კამერების ჩანაწერები მიიღეს, რომლებშიც ჩანს, რომ თითქოსდა დაზარალებული ქალი ბადალონის კაზინოში ლოტოს თამაშობს. ის პირდაპირ სათამაშო ავტომატთან დაკავეს, სადაც მას უკვე წაგებული ჰქონდა გამოსასყიდი თანხის ნაწილი. ქალი საქმის გამოძიების დასრულებამდე გირაოთი გაათავისუფლეს.

მოზარდი მეხის დაცემისგან დაღუპვას ფეხსაცმელებმა გადაარჩინა

ავსტრალიის კვინსლენდის შტატის მცხოვრები მოზარდი მეხის დაცემის შემდეგ ცოცხალი მისი ფეხსაცმლის ძირების წყალობით გადარჩა.

14 წლის ტელინ როუზი ჭექა-ქუხილის დროს სკოლაში მიდიოდა. ამ დროს მეხი გვერდით მდგომ ლითონის ბოძს დაეცა და მოზარდის სხეულში გაიარა. მძლავრი ელექტროდარტყმის შედეგად მოზარდი მიწაზე დაენარცხა.

აღნიშნული შემთხვევა მოხდა მამაკაცის თვალწინ, რომელიც იმ დროს მანქანაში იჯდა. თვითმხილველმა მოზარდთან მიირბინა და ის სკოლის შენობაში შეიყვანა. დაშავებულის დედამ მიშელ ნიმომ განაცხადა, რომ მას შვილის სკოლაში გაგზავნიდან რამდენიმე წუთში დაურეკეს და აცნობეს, რომ სასწავლო დაწესებულების თანამშრომლებმა სამაშველო სამსახურს მიმართეს და მისი შვილისთვის სასწრაფო დახმარება გამოიძახეს.

იმ დროისთვის, როდესაც დედა სკოლაში მივიდა, როუზმა ნელ-ნელა მდგომარეობიდან გამოსვლა დაიწყო. ის საავადმყოფოში გადაიყვანეს იმის გამოსაკვლევად, თუ როგორ ფუნქციონირებდა მისი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ორგანოები.

ექიმებმა დედას განუცხადეს, რომ მის შვილს გაუმართლა, რომ მეხის დაცემის შედეგად ცოცხალი გადარჩა. მათი თქმით, აქამდე მსგავსი არაფერი უნახავთ. მოზარდის სიცოცხლე ფეხსაცმელების სქელმა ძირებმა იხსნა. სწორედ მათ შთანთქეს ელექტრული მუხტის უდიდესი ნაწილი.

დაჭერილმა თევზმა ღარიბი მეთევზეები გაამდიდრა

ადამიანის სიმაღლის თევზმა ინდოელ ღარიბ მეთევზეებს სიმდიდრე მოუტანა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ხუთი მეთევზე მდინარე კოპურაში თევზაობდა, როდესაც მათ ბადეში უზარმაზარი ნიბეია გაება, რომლის წონამ 78,4 კილოგრამი შეადგინა. მათი მტკიცებით, მათ ადრეც უნახავთ დიდი თევზები, მაგრამ ასეთი ზომის თევზის დაჭერა პირველად შეძლეს.

მეორე დღეს მეთევზეებმა თავიანთი ნადავლი სუდარბანის ბაზარში წაიღეს და გაყიდეს. აუქციონზე თევზის ფასმა 3,74 მილიონ რუპიას მიაღწია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● 45-წლიანი გამოცდილებით გთავაზობთ პარაფსიქოლოგის მომსახურებას – გაუმართლებლობა, ქალის ბედის გახსნა, მტრის ჩამოშორება, შებოჭილობა, დეპრესია, კოშმარული სიზმრები, პიროვნებებს შორის აგრესიები, მოღალატე ქმრის მორჯულება, ეჭვიანობა, თვითმკვლელობის სურვილი, პათოლოგიური სიმთვრალე და კიდევ მრავალი პრობლემის მოგვარება, შესაძლებელია პაციენტის გარეშეც. ფოტოსურათი აუცილებელია. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება წინასწარი ჩაწერით.

მამაკაცმა შეყვარებულზე მის გარდაცვალებამდე რამდენიმე საათით ადრე იქორწინა

ინგლისის ქალაქ სტაფორდშირში 34 წლის გრეგ პიტერსმა საავადმყოფოს პალატაში იქორწინა ავტოავარიაში მოყოლილ თავის შეყვარებულზე. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საზეიმო ცერემონია გოგონას გარდაცვალებამდე რამდენიმე საათით ადრე გაიმართა.

პიტერსმა 28 წლის ანა ლედგარი წლინახევრის წინ გაცნობის ვებგვერდზე გაიცნო. პანდემიის დროს წყვილი მამაკაცის ბინაში ერთად ცხოვრობდა.

18 ოქტომბერს ლედგარი მანქანაში ჩაჯდა და სამსახურში გაემგზავრა. რამდენიმე საათში პიტერსს საავადმყოფოდან დაურეკეს და შეატყობინეს, რომ მისი შეყვარებული ავტოავარიაში მოყვა.

– საავადმყოფოსკენ გავქანდი. სანამ მივდიოდი, არცთუ ძალიან ვნერვიულობდი, ვფიქრობდი, რომ ანას, უბრალოდ, ხელი ექნებოდა მოტეხილი და ყველაფერი კარგად იქნებოდა, – განაცხადა პიტერსმა.

ადგილზე მისულმა ექიმებისგან შეიტყო, რომ გოგონას სიცოცხლესთან შეუთავსებელი მძიმე ქალა-თავის დაზიანებები ჰქონდა მიღებული და ხელოვნური სუნთქვის აპარატზე იყო შეერთებული. მათ იქვე დაამატეს, რომ გოგონას გადარჩენა გამორიცხული იყო და უახლოეს დროში მას აპარატიდან გამორთავდნენ.

ამის შემდეგ პიტერსმა გადაწყვიტა, მომაკვდავ შეყვარებულზე დაქორწინებულიყო და ნებართვა მის დედას სთხოვა. ქალმა მის გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა და მამაკაცმა გოგონას თითზე გაუკეთა ბებიისგან მემკვიდრეობით მიღებული ბეჭედი. წყვილი საგანგებოდ ამ ცერემონიისთვის მიწვეულმა ღვთისმსახურმა დალოცა.

ჰოთ-დოგების ჭამის შეჯიბრების მონაწილე გოგონა დაიღუპა

ამერიკის მასაჩუსეტსის შტატში ტაფტსას უნივერსიტეტის 20 წლის სტუდენტ გოგონა მედელინ ნიკპონს ჰოთ-დოგების სწრაფად ჭამის კონკურსის დროს საკვები ყელში გაეჩხირა და დაიღუპა.

ნიკპონი საქველმოქმედო ღონისძიებაში მონაწილეობდა. შეჯიბრების დროს გოგონას ჰოთ-დოგის ნაჭერი ყელში გაეჭედა და გონება დაკარგა. ორგანიზატორებმა სასწრაფო დახმარება გამოიძახეს. პარამედიკოსებმა გოგონა საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ის მეორე დღეს გარდაიცვალა.

ნიკპონის დაღუპვის დღეს მისთვის პატივის მისაგებად ათასობით ადამიანმა, მათ შორის სტუდენტებმა და პედაგოგებმა მოიყარეს თავი. გოგონა აქტიურად მონაწილეობდა უნივერსიტეტის ცხოვრებაში და ლიაკროსის გუნდის წევრი იყო.

კარადაში დამტვერილი და გაბზარული ვაზა ათასებად გაიყიდა

ინგლისის ჩეშირის საგრაფოში პენსიონერის სახლში გაბზარულ ჩინურ ვაზას 25 წელი კარადაში მტვერი ედებოდა, ახლახან კი აუქციონზე გაიტანეს და 55,5 ათას ფუნტ სტერლინგად გაიყიდა.

89 წლის პენსიონერმა ლოგოპედმა აუქციონერი ჩარლზ ჰენსონი რამდენიმე ნივთის შესაფასებლად სახლში მიიწვია, ვინაიდან მათ გაყიდვას აპირებდა. ექსპერტმა მაშინვე შენიშნა კარადის ზედა თაროზე შემოდებული ძველი თეთრ-ცისფერი ჩინური ვაზა.

პენსიონერი ქალი მისთვის ვაზის ჩვენებას არც კი აპირებდა, ვინაიდან გაბზარული იყო. ის დარწმუნებული გახლდათ, რომ ამ ნივთს არანაირი ღირებულება არ გააჩნდა. ქალი გაოგნდა, როდესაც ჰენსონმა უთხრა, რომ ვაზა მინიმუმ 15 ათას ფუნტ სტერლინგად შეიძლებოდა შეფასებულიყო.

– ჩინურ თეთრ-ცისფერ ვაზაზე, რომელზეც ცხრა ურჩხულია გამოსახული, დასმული იყო ნიშანი, რომლის თანახმადაც, ის 1796-1820-იან წლებში იყო დამზადებული. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ 200 წლის იყო, – აღნიშნა აუქციონერმა. ვაზის მოხატვის სტილი ციანლუნის იმპერატორულ დიზაინს განეკუთვნება. მსგავსი ქმნილებები ჩაკეტილ ქალაქ პეკინშია გამოფენილი.

როდესაც ვაზა აუქციონზე გამოიტანეს, მისთვის ნამდვილი ომი გაჩაღდა. ლოტის ფინალურმა ფასმა 55,5 ათასი ფუნტი სტერლინგი შეადგინა.

ჰენსონის თქმით, ჩინელი მყიდველები ძველ ჩინურ ფაიფურს სათანადოდ აფასებენ და ცდილობენ, ასეთი ნივთები სამშობლოში დააბრუნონ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

შედეგები

27 ოქტომბერი

ფეხბურთი

ინგლისი. ღიგის თასი

ვესტ ჰემი-სიტი	0:0 (5:3პ)
ლესტერი-ბრაიტონი	2:2 (4:2პ)
ბარნლი-ტოტენჰემი	0:1
პრესტონი-ლივერპული	0:2
სტოკი-ბრენტფორდი	1:2

გერმანია. თასი

ბოხუმი-აუგსბურგი	2:2 (5:4პ)
ლევერკუზენი-კარლსრუე	1:2
მანჰეიმი-უნიონი	1:3 (დდ)
დინამო-ზ.პაული	2:3 (დდ)
გლადბახი-ბაიერნი	5:0
ჰანოვერი-ფორტუნა	3:0
შტუტგარტი-კიოლნი	0:2
რეგენსბურგი-ჰანზა	2:2 (2:4პ)

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

მალიორკა-სევილია	1:1
რაიო-ბარსელონა	1:0
ბეტისი-ვალენსია	4:1
რეალი-ოსასუნა	0:0

სატუნირო ცხრილი:

1.რეალი	10	6	3	1	24-11	21
2.სევილია	10	6	3	1	17-7	21
3.ბეტისი	11	6	3	2	19-12	21
4.სოსიედადი	10	6	3	1	14-9	21
5.რაიო	11	6	1	4	18-12	19
6.ოსასუნა	11	5	4	2	14-13	19
7.ატლეტიკო	9	5	3	1	13-8	18
8.ბილბაო	10	4	5	1	10-6	17
9.ბარსელონა	10	4	3	2	15-11	15
10.ესპანიოლი	11	3	5	3	11-11	14
11.ვალენსია	11	3	4	4	16-17	13
12.მალიორკა	11	3	4	4	10-16	13
13.ვილიარეალი	10	2	6	2	13-10	12
14.სელტა	10	3	1	6	10-12	10
15.ელჩე	11	2	4	5	8-13	10
16.ალავესი	10	3	0	7	5-13	9
17.კადისი	11	1	5	5	10-18	8
18.გრანადა	9	1	4	4	7-13	7
19.ლევანტე	10	0	5	5	9-18	5
20.ხეტაფე	10	0	2	8	3-16	2

იტალია. სერია ა

სამდორია-ატალანტა	1:3
უდინეზე-ვერონა	1:1
იუვენტუსი-სასუოლო	1:2
კალიარი-რომა	1:2
ლაციო-ფიორენტინა	1:0
ემპოლი-ინტერი	0:2

სატუნირო ცხრილი:

1.მილანი	10	9	1	0	23-9	28
2.ნაპოლი	9	8	1	0	19-3	25
3.ინტერი	10	6	3	1	26-12	21
4.რომა	10	6	1	3	18-10	19
5.ატალანტა	10	5	3	2	18-12	18
6.ლაციო	10	5	2	3	20-17	17
7.იუვენტუსი	10	4	3	3	14-13	15
8.ფიორენტინა	10	5	0	5	13-13	15
9.სასუოლო	10	4	2	4	14-13	14
10.ვერონა	10	3	3	4	22-19	12
11.ემპოლი	10	4	0	6	14-20	12
12.ბოლონია	9	3	3	3	15-19	12
13.ტორინო	10	3	2	5	12-11	11
14.უდინეზე	10	2	5	3	12-14	11
15.სამპდორია	10	2	3	5	14-20	9
16.ვენეცია	10	2	2	6	8-17	8
17.სპეცია	10	2	2	6	12-23	8
18.ჯენოა	10	1	4	5	15-22	7
19.სალერნიტანა	10	2	1	7	10-22	7
20.კალიარი	10	1	3	6	12-22	6

საფრანგეთი. ღიგა 1

ნიცა-მარსელი	1:1

სატუნირო ცხრილი:

1.პსჟ	11	9	1	1	24-10	28
2.ნიცა	12	9	3	2	24-10	23
3.ლანსი	11	6	3	2	20-12	21
4.მარსელი	11	5	4	2	19-12	19
5.რენი	11	5	3	3	16-9	18
6.ანჟე	11	4	5	2	17-13	17
7.ნანტი	11	5	2	4	16-12	17
8.მონაკო	11	5	2	4	17-14	17
9.ლიონი	11	4	4	3	18-16	16
10.ლილი	11	4	3	4	14-16	15
11.ლორიანი	11	3	6	2	12-14	15
12.სტრასბური	11	4	2	5	18-16	14
13.მონპელიე	11	3	4	4	18-19	13
14.კლერმონი	11	3	4	4	14-22	13
15.ტრუა	11	3	3	5	11-15	12
16.რეიმსი	11	2	5	4	12-14	11
17.ბორდო	11	1	6	4	13-22	9
18.ბრესტი	11	0	6	5	12-20	6
19.მეცი	11	1	3	7	12-26	6
20.სტ.ეტიენი	11	0	5	6	11-25	5

დაიტოვებს თუ არა ინდიანა გოგა ბითაძეს

ფორბსი ამ საკითხზე ვრცელ სტატიას აქვეყნებს

გოგა ბითაძემ და პეისერსმა მორიგი მარცხი განიცადეს. ინდიანელები სტუმრად ტორონტო რეპტორსს ეთამაშნენ და 100:118 დამარცხდნენ.

ბითაძეს, რომელსაც წინა მატჩში მილუოკისთან საკმაოდ დიდი დრო (18 წუთი) მიეცა, ამჯერად პარკეტზე მხოლოდ 2 წუთით გამოჩნდა. ჩვენებურმა ამ დროში 2 ქულისა და 1 მოხსნის გაკეთება მაინც მოასწრო.

თუმცა ბითაძეს, სათამაშო დროის გარდა, სხვა საკითხებიც აქვს დასაღაგებელი ინდიანა პეისერსის ორგანიზაციასთან. საქმე ის არის, რომ კლუბმა უახლოეს დღეებში უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, გააგრძელებს თუ არა თანამშრომლობას 22 წლის ქართველ ცენტრ გოგა ბითაძესთან. დედლაინის ვადა 1 ნოემბერია.

თუ პეისერსი ბითაძეს დაიტოვებს, კალათბურთელი 2022-23 წლების სეზონში 4.8 მილიონ დოლარს მიიღებს.

ამ თემას გამოეხმაურა ჟურნალი ფორბსი, რომელიც ინდიანელებს ბითაძის შენარჩუნება ურჩევს.

აი, რას წერს ფორბსი:

ინდიანამ ნბა-ს ახალ სეზონი კი დაიწყო, მაგრამ გუნდის აწყობა არ დაუსრულებია. 2021-22 წლების სეზონის წინ პეისერსში მაინც დარჩა გადასადგმელი ერთი ნაბიჯი. პირველი ნოემბერი ბოლო ვადაა იმისთვის, რომ ინდიანამ გადაწყვეტილება მიიღოს იმ კალათბურთელების თაობაზე, რომელთაც ჯერაც ახალბედას კონტრაქტი გააჩნიათ.

პეისერსს ასეთი ერთი მოთამაშე ჰყავს – მესამეწლიანი ცენტრი გოგა ბითაძე. მომავალი ორშაბათისთვის ინდიანას ფრონტ-ოფისმა უნდა გადაწყვიტოს, სურს თუ არა კალათბურთელთან თანამშრომლობის გაგრძელება 2022-23 წლების სეზონისთვისაც, იმ პირობით, რომ მას უკვე 4.8 მილიონი დოლარი უნდა გადაუხადოს.

გოგას შემთხვევა განსაკუთრებულია. მას მერე, რაც პეისერსმა 2019 წლის დრაფტზე მე-18 ნომრად აირჩია, მუდმივად პროგრესს განიცდის. თუმცა, ინდიანას კიდევ ჰყავს 2 ახალგაზრდა კალათბურთელი, რომელთაც ცენტრის პოზიციაზე თამაში შეუძლიათ – მაილს ტერნერი და დომანტას საბონისი. მათთან კონკურენციაში, სიმაღლის მიუხედავად, გოგას სათამაშო დროის მიღება უჭირს. ამ დროისთვის, ბითაძეს მისი დრაფტის წევრებს შორის სათამაშო წუთების მიხედვით მხოლოდ 33-ე ადგილი უკავია. ასე გაგრძელდება ამ სეზონშიც, რადგან 2-ვე კონკურენტი გრუნდშია.

სეზონის წინ ცენტრის პოზიციის როტაციაზე რიკ კარლაილს დაეკითხნენ, რომელმაც თქვა, რომ 4 კარგი ახალგაზრდა კალათბურთელი ჰყავთ და მათგან ყველაზე უფროსები (ტერნერი და საბონისი) მხოლოდ 25 წლის არიან. მესამე გოგაა (22 წლის), ხოლო მე-4 მოთამაშეში 19 წლის აიზია ჯეკსონი იგულისხმა. კარლაილმა ისიც აღნიშნა, რომ ამ მხრივ დიდი ფუფუნება აქვთ.

ასეთი შემადგენლობა ნამდვილად კარგია, მაგრამ, რომელიღაც კალათბურთელს ნაკლები დატვირთვა მოუწევს, ანაც, შესაძლოა, კონკრეტულ მატჩში საერთოდაც ვერ ითამაშოს. მაგალითად, სეზონის სასტარტო მატჩებმა დაგვანახა, რომ საბონისმა და ტერნერმა სრულად წაართვეს დრო, ჯეკსონმა კი მცირე წუთები მიიღო ინდიანას მე-3 მატჩში. მე-4 შეხვედრაში გოგამ შანსი ლიდერების ფოლებით დატვირთვის გამო მიიღო და მისი გამოყენება მოახერხა.

როტაციაში გასაკვირი არაფერია. როგორც ტერნერი, ასევე საბონისი ცენტრის პოზიციაზე ტალანტებად მიიჩნევიან, ჯეკსონი კი, სადებიუტო სეზონის მიუხედავად, ყურადღებას იმსახურებს. გამოდის, ბითაძისთვის მინიმალური სივრცე რჩება და შანსს ძირითადად მაშინ უნდა ელოდოს, როდესაც პეისერსს ტრავმიანობა შეაწუხებს.

ეს სიტუაცია იდეალური ნამდვილად არაა. წნეხის გამო თავის გამოჩენა იმ შემთხვევებშიც კი რთულდება, როდესაც ნდობას გიცხადებენ. სეზონის წინ თავადაც ღიად განაცხადა, რომ ძალიან ძნელია, როდესაც მატჩის მიმდინარეობისას არ იცი, მოედანზე გასვლა საერთოდ მოგიწევს თუ არა. იქვე დასძინა, რომ მთავარია, პროფესიონალიზმი შეინარჩუნოს, რადგან ნბა, მაშინ იმარჯვებ, როდესაც შანსს იღებ და ამისთვის ყოველთვის მზად უნდა იყოს.

ამ გადასახედიდან, 4.8 მილიონის გადახდა უბრალოდ მაღალი ბიჭისთვის, რომელიც ღრმა სათადარიგო უნდა იყოს, გაუმართლებელი ჩანს. პეისერსს შეუძლია, მრავლად მოიძიოს სათადარიგო ცენტრები, გოგაზე გაცილებით ახალგაზრდებიც კი, რომელთაც მინიმალურ ანაზღაურებას მისცემს და მომავლისთვის მოამზადებს. სხვა საკითხია, რომ არის კი ბითაძე მე-2 რიგის კალათბურთელი?

პირველი: გოგა უკეთესია, ვიდრე ტიპური სათადარიგო კალათბურთელი და გაცილებით მეტი უნარები გააჩნია, ვიდრე სხვა დიდ ბიჭებს, რომლებიც მასავით მცირე დროით კმაყოფილდებიან და მეტის ამბიციაც არ აქვთ.

პირველ რიგში, ეს დაცვაზე უნდა ვთქვათ. გასულ სეზონში დაფარებებში ბითაძის პროცენტული მაჩვენებელი 8.7% იყო. შედარებისთვის, ეს მთელ ლიგაში მე-2 შედეგი იყო იმ კალათბურთელთა შორის, რომელთაც სეზონში 500 წუთზე მეტი ითამაშეს; გოგასთან ერთად მოთამაშე ინდიანასთან მეტოქეების შეტევების მხოლოდ 58.23% სრულდებოდა ზუსტად. როდესაც სათადარიგოთა სკამზე იჯდა – 61.98%;

გოგა გუნდისთვის ძალიან საჭირო კალათბურთელია და მოედანზე ბევრი რამის კეთება შეუძლია.

თუკი საშუალოდ წუთის განმავლობაში მის მიერ განხორციელებული ბლოკ-შოტების რაოდენობას გავითვალისწინებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის უკვე ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესოც კია. ინდიანა პეისერსის პრეზიდენტმა კევინ პრიტჩარდმა კი განაცხადა, რომ გუნდს ფარის საიმედო მცველები ძალიან სჭირდება.

პრიტჩარდმა ისიც თქვა, რომ გოგას ჯერაც ბევრი სამუშაო აქვს შეტევით უნარებზე. ამ მხრივ ახალგაზრდა ცენტრს ზრდა ნამდვილად სჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ ნბა-ში გადასვლამდე პერიმეტრიდან კარგ მსროლელად ითვლებოდა, ამ კომპონენტის დასტაბილურება მაინც გაუჭირდა. ამ დროისთვის მისი 124 სამქულიანიდან მხოლოდ 23.4% გამოდგა ზუსტი, რაც მაგარ შედეგად ნამდვილად ვერ ჩაითვლება. გოგასთვის პრობლემატურია ფარქვეშიდან შეტევაც, რისთვისაც საკმარისი კუნთოვანი მასა არ გააჩნია. შედარებით იოლი გასავლელია მისი „სქრინებიც“.

ეს არ ნიშნავს, რომ ბითაძე პროგრესს არ განიცდის. გოგას შეტევაშიც შეუძლია თამაშის წაკითხვა და, მიუხედავად ასაკისა, მოედანზე არავის უშინდება. მეტწილად იყენებს იმ მატჩებს, როდესაც შედარებით მეტ სათამაშო დროს აძლევენ. ამ სეზონშიც მხოლოდ ერთხელ ათამაშეს და 17 წუთში 7 ქულა და 9 მოხსნა ჰქონდა. წუთების შემცირებამ გოგას ზრდა ასე თუ ისე შეანელა, მაგრამ, ვისაც სურს, შეტევაში მის უნარებსაც ნათლად დაინახავს.

რიკ კარლაილი:

– მე მომწონს მისი თამაში, თანაც მოედნის ორივე მხარეს. მას საოცარი საკალათბურთო აიქიუ გააჩნია და ოსტატობაც შესაბამის დონეზე აქვს. 3-ქულიანებსაც კარგად ისვრის, ამიტომაც ვეუბნებით, რომ როდესაც ღია პოზიციაზე იქნება, ყოველთვის შეუტიოს. გოგა მოედანზე სწორად გადაადგილდება. ზოგადადაც, ისეთი ტიპის მაღალი კალათბურთელია, რომელსაც ბევრი უნარი აქვს. ისეთ რაღაცებსაც აკეთებს, რაც, მაგალითად, დომანტას საბონიის გამოსდის მაგრად.

ვერ ვიტყვით, რომ ბითაძეს უნიკალური უნარები აქვს, მაგრამ ნამდვილად უკეთესია, ვიდრე რიგითი სათადარიგო. ამასთან, მუდმივად ვითარდება და, შესაძლოა, მომავალი სეზონისთვის გაცილებით უკეთესი კალათბურთელი იყოს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ გოგას საოცარი ნახტომი არ ექნება, ნბა-ს კლუბისთვის 4.8 მილიონის გადახდა, თუნდაც საიმედო სათადარიგო ცენტრის გამოსაზრდელად, ურიგო ნაბიჯი არ უნდა იყოს. ინდიანამ დაახლოებით იგივე რამ გააკეთა 2018-19 წლების სეზონში კაილ ოქუინთან მიმართებით. ვფიქრობთ, ამჯერადაც თუ ასე მოიქცევა, მართებული იქნება.

გოგამ სეზონის წინ განაცხადა, რომ რათა სისწრაფე და მოქნილობა მოემატებინა და, ზოგადად, უკეთეს ფორმაში შესულიყო, ზედმეტი „ცხიმის მასა“ მოიშორა, ხოლო კითხვაზე, თუ რის გამოსწორებაზე მუშაობდა, უპასუხა, რომ მოედანზე სწორი გადაწყვეტილებების მიღება და 3-ქულიანების სროლა აქვს დასახვეწი.

ბითაძის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების დროს ინდიანას სახელფასო ჭერის გათვალისწინებაც მოუწევს. კლუბმა უნდა გათვალოს დანახარჯები, რაც არცთუ კარგად გამოუვიდა ტი ჯეი ლიფის შემთხვევაში, რომელსაც დაახლოებით გოგას მსგავსი სიტუაცია ჰქონდა. ინდიანამ მისი გაშვება არჩია. ერთია, მაშინ კოვიდპანდემიის გამო გამოწვეული გაუთვალისწინებელი კრიზისი იყო.

ახლა სიტუაცია უფრო დალაგებულია. ამასთან, მსგავს ვითარებაში თითქმის ყველა სხვა გუნდმა გადაწყვეტილება უკვე მიიღო. ინდიანა კი ბითაძეზე ჯერაც ფიქრობს. სავარაუდოდ, ვერდიქტს მაქსიმალურად ბოლოსკენ გამოიტანს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ბარსელონა კუმანს დაემშვიდობა

დროებით მწვრთნელად სერხი ბარხუანი დაინიშნა

რონალდ კუმანი გუნდის მთავარი მწვრთნელი აღარ არის. პრეზიდენტმა ჟოან ლაპორტამ მწვრთნელს ეს გადაწყვეტილება რაიო ვალეკანოსთან (0:1) საგარეო წაგების შემდეგ აცნობა.

ბარსელონა რონალდ კუმანს გაწეული სამსახურისთვის მადლობას უხდის და პროფესიონალურ კარიერაში წარმატებას უსურვებს.

ამასობაში კი თითქმის ყველა ესპანური გამოცემა თანხმდება, რომ ბარსელონის ახალი მთავარი მწვრთნელი ჩავი ერნანდესი იქნება.

აქამდეც ცნობილი იყო, რომ „ბლაუგრანა“ ჩავის რონალდ კუმანის შეცვლის ერთ-ერთ კანდიდატად განიხილავდა. ესპანელი ჟურნალისტების ცნობით, ნიდერლანდელის გათავისუფლების შემდეგ ბარსა ჩავის დაუკავშირდა.

რამდენიმე გამოცემის ცნობით კი უკვე გადაწყვეტილია, რომ ბარსას ჩავი ჩაიბარებს, დარჩენილია მცირე დეტალების მოგვარება, მათ შორის ესპანელის ამჟამინდელ კლუბთან ალსადთან მოლაპარაკება, მაგრამ ივარაუდება, რომ ეს პრობლემა არ იქნება. ნიკოლა შირა კი იტყობინება, რომ პირადი კონტრაქტის დეტალები უკვე შეთანხმებულია და ბარსელონა ჩავის 2024 წლამდე ჩაიბარებს.

ვრცელდება ის ინფორმაციაც, რომ ჩავი ბარსელონაში მუშაობას სელტასთან თამაშის შემდეგ შეუდგება. ეს ნიშნავს, რომ გუნდს მომდევნო 3 მატჩისთვის დროებითი მწვრთნელი დასჭირდება.

ბარსელონამ დროებით მწვრთნელად სერხი ბარხუანი დანიშნა.

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის. როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

ხვიჩა გოგია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

მზია დუნდუა: მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 2. გერმანიაში განთავსებული ევროპაში უდიდესი თბოელექტროსადგური; 3. შტატი აშშ-ში; 4. ალაბედზე, შემთხვევითი წარმატების იმედზე წამოწყებული საქმე; 5. პოლონელი კინორეჟისორი; 6. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 8. მგლის, ძაღლის გაბმული ხმიანობა; 11. ძვლის მსგავსი ნივთიერება, კბილის შემადგენელი ნაწილი; 14. ქალაქი ისრაელში; 15. სტუმრების მისაღებად წინასწარ დანიშნული კვირის ესა თუ ის დღე ძველად; 16. მსოფლმხედველობა, რომელიც გამსჭვალულია ადამიანის სიყვარულით, პატივისცემით; 17. ბელგიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ მეკარე; 19. ადამიანის დასნებოვნება ცხოველური პარაზიტებით; 21. შიშველი, წვეტიანი კლდე; 22. ბარიტის საბადო რაჭაში.

თარაზულად: 1. მოძღვრება მეღვინეობის შესახებ; 5. მინერალური წყლების ძველი ქართული სახელწოდება; 7. პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ პერსონაჟი; 9. საზოგადოების განვითარების დონე; 10. ზღვისპირა კურორტი აფხაზეთში; 12. ქართველი საოპერო მომღერალი მამაკაცი; 13. ქვემეხის ერთ-ერთი სახეობა; 16. ჰავაის კუნძულების ადმინისტრაციული ცენტრი; 17. აფრიკული ანტილოპა; 18. ერთ-ერთი მთავარი ღვთაება ინდუიზმში; 20. თემის, გვარის წინამძღოლი შუა აზიაში; 22. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 23. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 24. ზღვის დიდი ტალღა; 25. სუბტროპიკული ხილი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ქვემეხი; 2. სატრაპი; 3. ენდემი; 4. ბამბა; 5. ბოლერონი; 7. შოუ; 11. რიიალი; 15. პაროდია; 16. აქსისი; 17. ვისკი; 18. ყბედი; 20. კასიო; 22. პინო.

თარაზულად: 6. ვაშაში; 8. ფაეტონი; 9. ვიმპელი; 10. მერკური; 12. რომბი; 13. აზარი; 14. მისისიპი; 19. პარსეკი; 21. პიკაპი; 23. ბრასი; 24. აკვანი; 25. დიზაინი; 26. ბიჭვინთა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 2. ორაკული; 3. აპარტიდი; 4. ობივატელი; 5. ლანჩი; 6. ერზაცი; 8. ბრინზა; 11. გუდრუნი; 14. ონომასტიკა; 15. ბირთვისი; 16. ალტერაცია; 17. ფაგოტი; 19. პატენტი; 21. კილტი; 22. შხარა.

თარაზულად: 1. ბოტაფოგო; 5. ლილე; 7. ემბაზი; 9. მაჭავარიანი; 10. ზუგდიდი; 12. აციდოზი; 13. გრეგორი; 16. ამერისი; 17. ფითი; 18. ოპიზა; 20. სკალპელი; 22. შპიგი; 23. რეესტრი; 24. ცხვარი; 25. ტოსკა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

29 ოქტომბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1623

ევრო — 3.6686

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3491

100 რუსული რუბლი — 4.4862

ამინდის პროგნოზი 29 ოქტომბრისათვის

ანჩელოტი: „ოსასუნასთან, უბრალოდ, არ გაგვიმართლა“

მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ ოსასუნასთან 0:0 დასრულებული შეხვედრის შემდეგ კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ მისმა გუნდმა კარგად ითამაშა.

– სამწუხაროა, რომ შედეგს ვერ მივაღწიეთ, მაგრამ შეგიძლიათ, გიჟი მიწოდოთ და მაინც ვიტყვი, რომ კარგად ვითამაშეთ. მომავალში შედეგი აუცილებლად იქნება.

ტომას მიულერი: „ასეთ მარცხს გამართლება არ აქვს“

მიუნხენის ბაიერნი გერმანიის თასზე მიონხენგლადბახის ბორუსიასთან დამარცხდა ანგარიშით 0:5 და გერმანიის თასს გამოეთიშა.

ბაიერნის ერთ-ერთმა ლიდერმა ტომას მიულერმა მატჩის შემდეგ განაცხადა. რომ ასეთი მარცხი, უბრალოდ, სირცხვილია:

– ყველაფერს აქვს გამართლება, მაგრამ, როდესაც 5 გოლს უშვებ, ამ შემთხვევაში სიტყვები ზედმეტია. ეს მარცხი უნდა დავივიწყოთ და მხოლოდ წინ ვიყუროთ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ანეკდოტი

ქმარი კვდება და ცოლს ეუბნება:

– ჩემ უკანასკნელ სურვილს შემისრულებ?

– რა თქმა უნდა, ძვირფასო, შენ მხოლოდ მთხოვე.

– მინდა, რომ ჩემი სიკვდილიდან ერთი წლის შემდეგ ცოლად გივის გაჰყვე.

– კი მაგრამ, მეგონა, რომ შენ მას ვერ იტანდი.

– და მერე, როგორ...

●●●

პატარა გიგი მარის ეუბნება:

– მარი, მოდი ოჯახობანა ვითამაშოთ?

– ეგ როგორ?

– ჯერ ცოლ-ქმარი ვიქნებით და მერე ხასიათებით ვერ შევეწყობით!

●●●

ნათესავი პატარა გივის ეკითხება:

– რომელია სკოლაში შენი ყველაზე საყვარელი გაკვეთილი?

– მათემატიკა!

– შენ ალბათ ძალიან ჭკვიანი ბავშვი ხარ!

– არა... უბრალოდ, მათემატიკის გაკვეთილიდან ყველაზე ხშირად მაგდებენ.

●●●

ერთი თანამშრომელი მეორეს ეუბნება:

– კაცო, ერთი პატარა ვაზა გადმოვარდა მაგიდიდან და ჩვენმა შეფმა კინაღამ მის ხმაურზე ჩაისვარა.

– ჰოო, ეგ იმიტომ, რომ ჩვენი ყრუ დამლაგებელი, რომელიც მის კაბინეტს ყოველთვის საიდუმლო მოლაპარაკებების დროს ალაგებდა, მოულოდნელ ხმაურზე მიტრიალდა.

●●●

ექიმი პაციენტს ეუბნება:

– დღეიდან თქვენთვის ღვინო და ქალები აღარ შეიძლება:

– აბა, დუდუკი შენ გაიკეთე უკან ექიმო!

სუხიშვილების კონცერტებმა ყაზახეთში ანშლაგებით ჩაიარა

ანსამბლმა „სუხიშვილებმა“ ყაზახეთში კონცერტები გამართა.

ალმა ატაში ქართველმა მოცეკვავეებმა შეკრებილი მაყურებლისთვის როგორც ძველი, ასევე ახალი ცეკვები წარადგინეს და აღფრთოვანებული საზოგადოების მქუხარე აპლოდისმენტები და ოვაციებიც დაიმსახურეს.

„სუხიშვილების“ ორივე კონცერტმა სრული ანშლაგით ჩაიარა. მოცეკვავეებს ბისზე ცეკვების შესრულება მოუხდათ.

ზინა ქაჯაია და მაკო მაჭავარიანი არმანის ჩვენებაზე გამოვიდნენ

დუბაიში ცნობილი ბრენდის ჯორჯო არმანის უახლესი კოლექციის ჩვენება გაიმართა. სხვა ცნობილ მოდელებთან ერთად სამოსი ქართველმა ლამაზმანებმა ზინა ქაჯაიამ და მაკო მაჭავარიანმაც წარმოაჩინეს.

ჯორჯო არმანის ჩვენებაზე ფერადი და მრავალფეროვანი კოლექცია იქნა წარმოდგენილი, რომელმაც მოდის კრიტიკოსებსა და მყიდველებში დიდი მოწონება დაიმსახურა.

მაკო და ზინა მსოფლიო მოდის კვირეულებში უკვე აქტიურად არიან ჩართული.

„ეს კაცი გიჟი ყოფილა!“

მორის ლეკიაშვილი 85 წლის გახდა



ბალერონი მორის ლეკიაშვილი 85 წლის გახდა. ოპერის მომღერლის ღამარა ჭყონიას მეუღლეს საიუბილეო თარიღი მისმა შვილმა, ასევე ოპერის მომღერალმა ეთერ ჭყონიამ მიულოცა:

– მორის ლეკიაშვილი 85 წლის გახდა! ამ ღამაზ თარიღთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო მისი ახალგაზრდობის კიდევ ერთი პატარა სახალისო ეპიზოდი, რომელმაც თავის დროზე სიცილით დამაგდო.

ახალგაზრდობის ადრეულ წლებში დედას ძალიან უყვარდა მშობლებთან ბათუმში დასვენება. იმ დროს მისი რომანი მამასთან უკვე დაწყებული იყო. ერთხელაც დასასვენებლად წასვლის წინ მათ მოილაპარაკეს, რომ იქ შეხვდებოდნენ ერთმანეთს. მართლაც ასე მოხდა. მორისი მწვანე კონცხზე დაბინავდა და, როგორც დათქვეს, იმავე დღეს ღამარას სახლში ესტუმრა, თან შეყვარებულის დედ-მამისა და უმცროსი ძმის, გივის, გაცნობა ძალიან აინტერესებდა.

ოჯახში სუფრა გაშალეს. საუბრის დროს მორისმა სიამაყით განაცხადა, რომ ოპერის თეატრში ბალეტის წამყვანი სოლისტი იყო, რის შემდეგაც რატომღაც უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. წასვლის წინ კი ღამარას ჩურჩულით შემდეგი დღისთვის პაემანი დაუნიშნა – დილის 11 საათზე ქალაქის ცენტრში, აჭარულ ხაჭაპურებთან. მაგრამ ოჯახში როგორც კი მათი პაემნის შესახებ გაიგეს, ცოფები ყარეს: „გოგო, რა საერთო გაქვს ბალეტის მსახიობთან! ისინი ხომ გახრწნილ-გათახსირებულები არიან!“ აღშფოთებულმა ღამარამ ახსნა დაიწყო, რომ სხვა სფეროში გახრწნილი ადამიანები გაცილებით მეტნი იყვნენ.

მოკლედ, მეორე დილით, როდესაც მან პაემნისთვის მზადება დაიწყო, აღმოაჩინა, რომ მისი არც ტანსაცმელი და არც ფეხსაცმელი ადგილზე აღარ იყო. რაც ჰქონდა, მშობლებს ყველაფერი გადაუმალავთ. ეძება მთელ სახლში, მაგრამ უშედეგოდ. ამან საბოლოოდ აატირა. შემდეგ კატეგორიულად მოითხოვა, დაუყოვნებლივ დაებრუნებინათ მისთვის ტანსაცმელი. დედ-მამა კი მშვიდად უყურება და ღიმილს ვერ იკავებდა. რა გაეწყობოდა, იძულებული გახდა, ამ მდგომარეობას შეჰგუებოდა. ტელეფონი კი იმ დროს იშვიათი ფუფუნება იყო, ამიტომ მორისს ვერაფერს შეატყობინებდა. ასე დათრგუნულმა გაატარა მან ღამის პერანგში გაუთავებელი, როგორც ფიქრობდა, უზომოდ გაწელილი საათები.

ბოლოს, 17.00 საათზე, მამამისმა სახლის სხვენს კიბე მიადგა და გივის ტანსაცმელ-ფეხსაცმელი ჩამოატანინა, თან ღამარას ოთახში შევიდა და ნიშნის მოგებით მიახალა: „ახლა სადაც გნებავს, იქ წაბრძანდი“. ძალაგამოცლილი ღამარა ქალაქის ცენტრში გაემგზავრა. ამჯერად იმიტომ, რომ მშობლებთან ყოფნა აღარ უნდოდა. მაგრამ ოჯახში როგორც კი მარამ მოხდა დაუჯერებელი რამ. კაფესთან, სადაც აჭარულ ხაჭაპურს აცხობდნენ, მორისი მას ელოდებოდა. ყველაზე უიმედო დროსაც კი შეიძლება გაჩნდეს მზით გაცისკროვნებული წუთები. ღამარა ემოციებს ვეღარ მალავდა...

კინოში ბედნიერი საღამო გაატარეს და ღამის 12 საათი იყო, მორისმა რომ სახლამდე მიაცილა. ოჯახში არავის ეძინა. ფანჯრიდან იყურებოდნენ... ხოლო როდესაც გაიგეს, რომ მორისი პაემანზე დანიშნულ ადგილზე ექვსი საათი იდგა, გაოგნებულები დიდხანს დუმდნენ. ბოლოს გივიმ დაარღვია სიჩუმე და ხმამაღლა წამოიძახა: „კაცო, ეს მორისი გახრწნილი კი არა, გიჟი ყოფილა!“

ამ ამბის შემდეგ მათ ხელი მალევე მოაწერეს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მამაკაცმა ცოლთან რამდენიმე თვის ცხოვრების შემდეგ ციხეში დაბრუნება ითხოვა

იტალიაში მამაკაცმა ვერ აიტანა ცოლთან ერთად ცხოვრება და ციხეში გადაყვანა მოითხოვა.

30 წლის ალბანელს რამდენიმე წლით შინაპატიმრობა ჰქონდა მისჯილი ნარკოტიკებთან დაკავშირებით ჩადენილი დანაშაულის გამო. რამდენიმე თვის ცოლთან და ნათესავებთან გატარების შემდეგ ის გაიქცა და პოლიციას ჩაჰბარდა.

კარაბინერების კაპიტნის ფრანჩესკო ჯაკომო ფერანტეს თქმით, მამაკაცმა განაცხადა: „მომისმინეთ, ჩემი ოჯახური ცხოვრება ნამდვილ ჯოჯოხეთად იქცა. მე ამას ვეღარ გადავიტან, ისევ ციხეში ყოფნა მირჩევნია“. მისი სურვილი დაკმაყოფილდა. იტალიელი შინაპატიმრობის პირობების დარღვევისთვის დააპატიმრეს და ციხეში მოათავსეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

29 ოქტომბრისათვის

ვერძი – ნებისმიერი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება შეგიძლიათ. კეთილისმყოფელი დღეა სულიერი სრულყოფისათვის. **კურო** – დაიტვირთეთ ფიზიკურად, დაკავდით სპორტით. ერიდეთ კამათს მეგობართან. **ტყუპები** – ეცადეთ, დაწყებული საქმე შუა გზაზე არ მიატოვოთ. გამორიცხული არ არის რომანტიკული შეხვედრა ან ვახშამი ახლობლების წრეში. **კირჩხიბი** – თავს მშვიდად და ენერგიულად გრძნობთ. ახალი ნაცნობობა ხალისს შეგმატებთ. **ლომი** – ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. ინტუიცია არ გიღალატებთ. ხელმძღვანელობასთან კამათს ერიდეთ. **ქალწული** – ნუ დაწვრილმანდებით. თუ გაწყენინეს, დიდსულოვნება გამოიჩინეთ და აპატიეთ. **სასწორი** – მეტი დრო დაუთმეთ პარტნიორულ ურთიერთობებს. კეთილსინდისიერება და პასუხისმგებლობა დღის დევიზია. **ღრიანკალი** – ფულს ნურც ისესხებთ და ნურც გაასესხებთ. საყიდლებზე წასვლა სამომავლოდ გადადეთ. **მშვილდოსანი** – ერიდეთ ავანტიურისტებს. ოპტიმიზმი პირად ცხოვრებაში შექმნილი კრიზისის დაძლევაში დაგეხმარებათ. **თხის რქა** – პროფესიონალურ სფეროში ან პირად ცხოვრებაში მოულოდნელად სიძნელეები შეგხვდებათ. ჩანაფიქრის განხორციელებაში მეგობრები დაიხმარეთ. **მერწყული** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. ახლობლებს ნუ დაივიწყებთ. დაეხმარეთ მათ. **თევზები** – წინააღმდეგობრივი დღეა. შექმნილი ვითარება გეგმების შეცვლას გაიძულებთ. დღის მეორე ნახევარი მშვიდი და ჰარმონიული იქნება.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ↘



შვეულად: 1. ქართველი მოდელიერი ქალი; 2. ჟორჟ ბიზეს ოპერა; 3. ლუდის წარმოების ერთ-ერთი ცენტრი ჩეხეთში; 4. გერმანული მოდების ჟურნალი; 5. რაიმე საქმეში სიახლის შემომტანი პირი; 7. ბუნებრივი წყალსაცავი; 11. საფრანგეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 15. სტუდქალაქის სახელწოდება აშშ-ში; 16. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 17. უნგრული ღვინო; 18. გიორგი ერისთავის პიესა; 20. ბულგარეთის დედაქალაქი; 22. შაქრის ლერწმისგან დამზადებული სპირტიანი სასმელი.

თარაზულად: 6. ფულის გამოძალვა; 8. აჭარული ხის სახლი; 9. საქართველოს ეკონომიკის მინისტრი; 10. საქართველოს ეროვნული გმირი; 12. მდინარე ევროპაში; 13. მინერალი, ნახევრად ძვირფასი ქვა; 14. მოხეტიალე მუსიკოსი, მსახიობი ძველ რომში; 19. გარემოში საორიენტაციო ხელსაწყო; 21. სომხური ცეკვა; 23. მართალი, პატიოსანი ადამიანი; 24. ტბა სამხრეთ საქართველოში; 25. შაქრის შემცვლელი დიაბეტით დაავადებულთათვის; 26. ყოველდღიური გაზეთი ბრიტანეთში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა